# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 170 (6028)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



*ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის! — ეს ბერტოლდ ბრეხტია. დიდი დრამატურგის ეს სიტყვები, რაც ჩვენი დედამიწა არსებობს და იარსებებს, ყოველთვის აქტუალური იქნება. ომი დამთავრდაო. ახლა დამცირებული, გაუბედურებული, სხვისი ხელის შემყურე, ტერიტორიებდაკარგული ჩემი სამშობლო იმ შაბათის მათხოვარსა ჰგავს, ვისაც კეთილი ხალხის იმედიღა აქვს.*

*მწყურვალთ გვაპურებენ, მშიერთ გვანაყრებენ, გვეხმარებიან და... როდემდე... როდემდე...*

*როდის იქნება, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს?! ...*

## ...ოდენ კაცი თავსა ივნებს



*„დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქარშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანაში იქნებ მადლობელიც გავუხდეთ“.... („ივერია“, 1903 წ. 28 ივნისი).*

9

## რა მისწერა სააკაშვილმა სარკოზის? 2

## წლეულსაც ტყემალი აჭობებს ყურძენს?! 4



5



## დიალოგი მონატრებულ საქართველოსთან

## რუსეთი ტაქტიკურ დათმობაზე წავიდა 3

## რა ღირს ორი გრამი ტვინი?

**ანუ, იქნებ ზოგჯერ მაინც დაფიქრებულიყავით, უფალო ვარდოსნებო და მათო „პიარშიკ“-მხარდამჭერებო, და მერელა გეთქვათ თუ გეკეთებინათ რამე?** 2

*ამ წერილის სათაური ჩემი ყოფილი კოლეგის, უდროოდ გარდაცვლილი ჟურნალისტის გია ჭელიძის საყვარელი ფრაზის გავლენით გაჩნდა (ვგონებ, ეს სათაური რამდენიმე წლის წინათაც ჰქონდა ერთ ჩემს პუბლიკაციას, მაგრამ ისევ ვიყენებ — რა ვქნა, ამათ ტვინ-ჭკუა არ ემატებათ და...): როდესაც დაინახავდა, რომ მავანი რაიმე სისულელეს ჩაიდენდა, კაცს ორი გრამი ტვინი მაინც უნდა გქონდეს, რომ ეს არ გააკეთოო, — იტყოდა.*

*ჰოდა, ახლა სწორედ „ამათ“ მორიგ სისულელეზე უნდა მოგახსენოთ, რომელთან დაკავშირებითაც გია ჭელიძე უთუოდ გამოიყენებდა თავის საყვარელ გამოთქმას:*



ეს უნდა ვიცოდეთ!

# რა მისწერა სააკაშვილმა სარკოზის?

**თბილისში არავის არაფერი უთქვამს წერილზე, რომელიც სააკაშვილმა სარკოზის მისწერა, სარკოზიმ კი, თავის მხრივ, მედვედევს გადასცა. საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია რომ არა, ამ გზავნილების შესახებ ვერც ვერაფერს გავიგებდით.**

სიტყვა წერილი პირველად სარკოზიმ ახსენა, მედვედევმა კი განმარტა, რომ რუსულმა მხარემ მიიღო გარანტიები ცეცხლის განუხლებლობის შესახებ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ფონზე შედგა რუსული ჯარების საქართველოდან გაყვანის გრაფიკიც, ანუ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის წერილი რომ არა, მედვედევ-სარკოზის შეხვედრა შეხვედრადვე დარჩებოდა.

ნიკოლა სარკოზი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ შუამავალია, რუსეთი მას საერთაშორისო გარანტორის ფუნქციასაც ანიჭებს, ანუ თუ მედვედევი სარკოზის წინაშე ვალდებული იყო, შეესრულებინა მიცემული პირობა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ახლა სარკოზია მედვედევის წინაშე ვალდებული. სწორედ საფრანგეთის პრეზიდენტმა დაარწმუნა რუსეთი, რომ ქართული მხარე ცეცხლს არ გახსნის. სწორედ ეს პირობაა დადებული ქართული მხარის მიერ სარკოზისთვის გაგზავნილ წერილში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი უკვე დიდი ხანია ითხოვს ცეცხლის შეწყვეტის გარანტიებს. ასე იყო 8 აგვისტომდეც. მიხეილ სააკაშვილი ასეთ შეთანხმებას ხელს არ აწერდა. ხელი არც ახლა მოუწერია რაიმე დოკუმენტისთვის. ალექსანდრე ლომაიას თქმით, პრეზიდენტმა მხოლოდ წერილი დაწერა და სარკოზის შეკითხვას უპასუხა. შეკითხვა კი სარკოზის ექვსპუნქტიანი დოკუმენტიდან გამომდინარეობდა. ეს დოკუმენტი ხომ ძირითადად ცეცხლის შეწყვეტას ითვალისწინებს. ჰოდა, საფრანგეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მიიღო დასტური მიხეილ სააკაშვილისგან – ქართული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ცეცხლს არ გახსნის.

ექსპერტების თქმით, თბილისს ან წერილი უნდა დაეწერა, ან დოკუმენტი გაეფორმებინა, რომელსაც ხელს ერთი მხრივ სააკაშვილი, მეორე მხრივ კი კოკოითი მოაწერდნენ. რა თქმა უნდა, თბილისმა წერილის დაწერა არჩია. სააკაშვილი არც ერთ დოკუმენტს ხელს არ მოაწერს, სადაც კოკოითის ან ბაღაფშის ხელმოწერაა. ამის ნათელი მაგალითი თავად სარკოზ-მედვედევის ექვსპუნქტიანი შეთანხმებაა. როგორც გვახსოვს, არის დოკუმენტი, რომელსაც ხელს კოკოითი და ბაღაფში აწერენ. სააკაშვილმა ამ დოკუმენტს ხელი პრინციპულად არ მოაწერა.

საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს წერილი თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებას არ ნიშნავს. ექსპერტებიც აზრიც ასეთია.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ განუცხადა, საფრანგეთის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილის მიერ გაგზავნილი წერილით მიიღო ზუსტი პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ინარჩუნებს.

„ოთხი დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო სარკოზის წერილი, სადაც იყო დასმული კითხვა, ექვსპუნქტიანი გეგმის პირველი პუნქტი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ვრცელდებოდა თუ არა აფხაზეთზეც. სარკოზის აინტერესებდა საქართველოს პრეზიდენტის აზრი და მან მიიღო ძალიან მოკლე პასუხი მიხეილ სააკაშვილის მხრიდან (სარკოზის სახელზე და არა მედვედევის სახელზეძ, რომ დიახ, ჩვენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს ვინარჩუნებთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებშიც", – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს" ლომაიამ.

**რიტა ყაველაშვილი**

სიმწრით ამოღერღილი

# რა ღირს ორი გრამი ტვინი?

**ანუ, იქნებ ზოგჯერ მაინც დაფიქრებულიყავით, უფალო ვარდოსნებო და მათო „პიარშიკ"-მხარდამჭერებო, და მერეღა გეთქვათ თუ გეკეთებინათ რამე?**

(პირველი გვერდიდან)

ამ რამდენიმე დღის წინათ სამივე „რუსთავზე" („რუსთავი-1"– „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „რუსთავი-2" – „გამარჯვებული ხალხის" კი არა, „ხალხზე გამარჯვებული" ტელევიზია და „რუსთავი-3" – ამჟამინდელი „იმედი"– **რ.რ.**ძ რამდენიმეჯერ აჩვენეს იმ სამი ქართველის დაკავების ამსახველი სიუჟეტები, რომლებიც თურმე უკანონოდ ჭრიდნენ ხეებს, მერე კი, დანაშაულის კვალის დასაფარავად, ტყეს ცეცხლს უკიდებდნენ.

ასე უკანონოდ მოუჭრიათო 8 კუბური მეტრი ხე, რისთვისაც, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 15 წლით პატიმრობა ელითო.

ერთი მხრივ, კარგია, როდესაც ხედავ, რომ კანონი კანონობს (ვარდოსან მაღალჩინოსანთა მტკიცებით, ეს იმის დამადასტურებელია, რომ სახელმწიფო შედგა, ერთი ჩემი უფროსი კოლეგის თქმით კი ხელისუფლება საკუთარ ხალხს შესდგაძ და დანაშაული დაუსჯელი არ რჩება, მაგრამ მეორე მხრივ?

**სწორედ ეს, მეორე მხარეა, ამჟამად ჩემთვის მთავარი.**

რუსებმა საქართველოში გამოვლენილი ველურობა-ვანდალიზმით იმდენად დაგვზაფრეს ჩვენც და დანარჩენი მსოფლიოც (მათი ბარბაროსობა – სირცხვილის შემყურეს ლამის საკუთარი გვარის გამო შემრცხვეს – როგორია, მთელი მსოფლიო რომ გიწერს პლაკატებს – STOP, RUSSIA, შე ველუროოძ, რომ მისგან განა თუნდაც ყველაზე დიდი უნამუსობაც უნდა გვიკვირდეს?

მაგრამ პირადად მე მაინც გამიკვირდა, როდესაც მათ ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალისა და ატენის ხეობის ტყეებს ცეცხლი წაუკიდეს და თითქმის ათასი ჰექტარი გადაბუგეს.

ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ჩვენი ხელისუფლება – რუსულმა თვითმფრინავებმა ტყეებში ცეცხლგამჩენი ბომბები ჩამოყარესო.

**ამის გამო, ეკოციდისთვის, რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლებთო,** – იმუქრება იგივე ხელისუფლება.

კი, ბატონო, სწორი გადაწყვეტილებაა და უთუოდ უნდა აღვასრულოთ კიდეც განზრახული, მაგრამ რუსეთი ხომ ეცდება ბრალდების აცილებასა და თავის დაცვას?

ეცდება, უთუოდ ეცდება, ნებისმიერი, კანონიერი თუ უკანონო გზით ეცდება ამის გაკეთებას!

**და ამ დროს ჩვენვე ლამის ხონჩით არ მივართმევით თავის გასამართლებელი არგუმენტი?**

**არ გვეტყვიან რუსები, ჩვენ რა შუაში ვართ, თქვენ თვითონვე არ აჩვენეთ თქვენივე ტელევიზიით, რომ საქართველოს ტყეებს ხანძარს ხეპარია ქართველები უჩენენო?**



ჰოდა, ცხონებული გია ჭელიძისა არ იყოს, ორი გრამი ტვინი მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ ამ სიუჟეტების შემკვეთებსაც და შემსრულებლებსაც (თუმცა შემსრულებლებს – ტელეჟურნალისტებს – ვინ უგდებს ყურს!ძ, რომ ასეთი „სიჭკვიანე" არ ჩაიდინონ და მოწინააღმდეგისთვის ხელსაყრელი დოკუმენტი არ შექმნან?

ვიცით, ისედაც ვიცით, ვარდოსნებო, რომ მუშაობთ და ამიტომაც ვართ ეკონომიკური განვითარების ტემპით თუ რეფორმებით პირველ ადგილზე მსოფლიოში (ყოველ შემთხვევაში თქვენ ასე გვიმტკიცებთ!ძ.

**თუ ღმერთი გწამთ, თვითონ მაინც გჯერათ ეს?**

... არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რუსეთს ვუმტკიცებდით, ტყუილად იწუნებთ ქართულ ღვინოებს ფალსიფიცირების მომიზეზებით, ამას პოლიტიკური მოსაზრებით აკეთებთ, თორემ ისინი საუკეთესო ხარისხისააო.

და ამ დროს სოფლის მეურნეობის მინისტრად ახლად დანიშნული პეტრე ცისკარიშვილი საკანალიზაციო ჭაში აღვრევინებდა „ბადაგონის" საუკეთესო ღვინოს – უხარისხო და ფალსიფიცირებულიაო (მანამდე ხომ ეს მისმა თანამორბედმა მიხო სვიმონიშვილმაც გააკეთაძ.

თანაც, პიარზე შეყვარებულმა, ეს ტელევიზიითაც გადაცემინა!

**ღმერთო ჩემო, რად დაიშურე ზოგიერთისთვის თუნდაც ორი გრამი ტვინი, რომელიც, ცხონებული გია ჭელიძის მტკიცებით, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს სისულელე არ ჩაადენინოს?**

მართლაც, უფალო, დაგვიცავი მეგობრებისგან, თორემ მტერს თავად გავუმკლავდებით.

**რუსლან რუსია**

**P. S. ...საინტერესოა, მაინც რა ღირს საერთაშორისო ბაზარზე ორი გრამი ტვინი? თუ ფული არ გვაქვს, ამერიკის მიერ დაპირებული მილიარდი დოლარის დახმარება არ გვეყოფა?**

**რ. რ.**

ინფორმაცია

## აშშ იარაღით კვლავ დაგვეხმარება



**ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე მორატორიუმის დაწესების წინააღმდეგია. აშშ-მ მხარი არ დაუჭირა რუსეთის ფედერაციის წინადადებას საქართველოსთვის იარაღის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესების შესახებ, იუწყება რადიო „თავისუფლება."**

მოსკოვმა ეს წინადადება გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დააყენა. თუმცა რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა იმთავითვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ამერიკული მხარე ამ რეზოლუციას დაბლოკავდა.

აშშ-ს მისიის წარმომადგენელმა გაეროში ბენ ჩანგმა მოსკოვის ამ ინიციატივას რუსეთის მიერ საქართველოდან ჯარის გაყვანის ვალდებულების შესრულების საკითხიდან საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების სხვა საკითხზე გადატანის მცდელობა უწოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს დღეებში აშშ-ს მთავრობა საქართველოში სპეციალურ მისიას გამოაგზავნის, რათა მან შეაფასოს და დაითვალოს, რა სახის დახმარება სჭირდება საქართველოს შეიარაღებული ძალების აღსადგენად.

## დსთ-სთან ყველანაირ კავშირს ვწყვეტთ

**საქართველო დსთ-ს კიდევ ერთი შეთანხმებიდან გამოვა. საუბარია „დსთ საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შესახებ 1992 წლის 27 მარტის შეთანხმებაზე".**

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ განხილული და მიღებული დადგენილება დასამტკიცებლად პლენარულ სხდომაზე გავა.

## ჯერჯერობით ფეხს არ იცვლიან

**სენაკში კვლავ რჩება რუსი ოკუპანტების მიერ გახსნილი ბლოკსაგუშაგოები. როგორც კორესპოდენტი იტყობინება, სენაკიდან რუსი სამხედროების გასვლის ნიშნები არ შეიმჩნევა.**

რუსი ჯარისკაცები კვლავ განაგრძობენ მოსახლეობის შევიწროვებას.

წუხელ ჩხოროწყუს რაიონში რუსი სამხედროები თავს დაესხნენ ერთ-ერთ ოჯახს და საკვები პროდუქტები გაიტაცეს.

რაც შეეხება განმუხურს, იგი აფხაზმა სეპარატისტებმა დატოვეს და იქ ამჟამად მხოლოდ რუსი სამხედროები იმყოფებიან.

## ოკუპანტები ქალაქ ფოთს ტოვებენ



**– ფოთში ურალის ტიპის ცარიელი ავტომანქანები შემოვიდა, რომლის საშუალებითაც რუსებს თავისი ნივთები გააქვთ.** შეიძლება ითქვას, რომ რუსი აგრესორები ქალაქის დასატოვებლად ინტენსიურად ემზადებიან. ფოთში შემცირებულია რუსების კუთვნილი ტექნიკაც, – განაცხადა ფოთის მერმა ვანო საღინაძემ.

## ოსებმა ქართველი პოლიციელი მოკლეს

**გორის რაიონის სოფელ კარალეთის შესასვლელთან განლაგებულ ქართული პოლიციის საგუშაგოს გუშინ დილით, 10.15 საათზე ცეცხლი გაუხსნეს ახლომდებარე რუსული პოსტის მიმართულებიდან, რის შედეგადაც, თავის და ყელის არეში მძიმედ დაიჭრა ქართველი პოლიციელი კახა ცოტნიაშვილი.**

როგორც შსს იუწყება, ცოტნიაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

არსებული ინფორმაციით, ცეცხლი ოსმა ბოევიკებმა გახსნეს, რომლებისთვისაც კარალეთთან მდგარ რუს ე.წ. სამშვიდობოებს ხელი არ შეუშლიათ.

## დაღუპულთა რიცხვი 295-მდე გაიზარდა

**საქართველოს მთავრობა საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა შესახებ ახალ მონაცემებს აქვეყნებს. ამ დროისთვის მსხვერპლის საერთო რაოდენობა 295-ს ადამიანს შეადგენს.**

მათგან 186 სამხედრო, ხოლო 109 სამოქალაქო პირია. წინა შუალედურ მოხსენებაში გარდაცვლილ სამოქალაქო პირთა რაოდენობა 69 იყო.

მოხსენების თანახმად, 14 ქართველი ჯარისკაცი დაკარგულად ითვლება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

განსჯა



# რუსეთი ტაქტიკურ დათმობაზე წავიდა

**8 სექტემბერს, ანუ საომარი მოქმედებების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ომს პოლიტიკური მრავალწერტილი დაესვა.**

რა თქმა უნდა, ეს არ არის საბოლოო წერტილი, რაკი ინტერესთა კონფლიქტი არსებობს და იარსებებს, მაგრამ უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ პირველად პოლიტიკურ შედეგებზე.

მოსკოვის მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ კრემლი გარკვეულ დათმობაზე წავიდა. ყოველ შემთხვევაში მის მიერ პრეზიდენტ სარკოზის ვიზიტის წინ მომზადებული „საგზაო რუკა“, რომელიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის იურიდიულ შეკვეცას (საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება; კოკოითთან „თავდაუსხმელობის ხელშეკრულების“ უშუალო გაფორმება; ბუფერულ ზონაში რუსული არმიის სახეშეცვლილად დატოვება და ა.შ) კრემლს ამჯერად „ჩაუვარდა“ – იგი იძულებული გახდა შერიგებოდა იმ გარემოებას (ჯერჯერობით, რომ საქართველოს ორი რეგიონის ცალმხრივი ოკუპაცია, მათი დამოუკიდებლობის აღიარება და იქ რუსული დივიზიების განლაგება საკმარისი გარანტიაა საიმისოდ, რათა აღსრულდეს მოსკოვის უმთავრესი მიზანი (რის გამოც შეიმუშავეს და განახორციელეს კრემლში მთელი ეს ოპერაცია) და ხელი შეეშალოს დეკემბრის სამიტზე საქართველოსათვის ნატოს „გზამკვლევის“ მინიჭებას.

სამწუხაროდ, ამაში არც ცდებიან.

თუმცა მოსკოვი ბოლო დღემდე ცდილობდა განეგრძო ბრძოლა „პროგრამა – მაქსიმუმისათვის“, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრულ, დაუყოვნებელ კოლაფსს გულისხმობდა.

ის, რომ კრემლმა ამ ზრახვის განხორციელება ვერ შეძლო, დიდწილად საფრანგეთისა და პირადად ნიკოლა სარკოზის დამსახურებაა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჯორჯ ბუშისა.

თუკი შესაძლებელია ვისაუბროთ რაიმე „გამართლებაზე“ სასტიკად წაგებული ომის შემდეგ, უნდა ითქვას: ჩვენს ქვეყანას ძალიან გაუმართლა, რომ 2008 წლის აგვისტოში სწორედ საფრანგეთი აღმოჩნდა ევროკავშირის თავმჯდომარე სახელმწიფო!

საქმე ის გახლავთ, რომ ევროპის კავშირში თავმჯდომარეობა როტაციულია – 27 ქვეყნიდან თითოეული ექვსი თვის განმავლობაში იკავებს თავმჯდომარის ფუნქციას.

ახლა კი წარმოიდგინეთ, აგვისტოში ევროკავშირის თავმჯდომარე იტალია (პუტინის მეგობარი სილვიოს მეთაურობით) ან პატარა ლიხტენშტეინი თუ სლოვენია, რომ ყოფილიყო! რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ევროკავშირი ბევრად ნაკლებ აქტიური და მომთხოვნი იქნებოდა რუსეთის მიმართ.

სულ სხვა საქმეა საფრანგეთი, დიდი ფრანგი ერი და მისი ახალგაზრდა, ამბიციური, პატივმოყვარე პრეზიდენტი.

ჩვენდა საბედნიეროდ, ნიკოლა სარკოზისთვის რუსეთის მიმართ პრინციპული და შეუვალი პოზიციის დაკავება მისი პირადი ღირსების საქმედ იქცა! განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიმიტრი მედვედევმა იგი რამდენჯერმე ჩვეული ურცხვობითა და ცინიზმით მოატყუა: ნაცვლად ფოთიდან ჯარების გაყვანისა (როგორც იყო შეთანხმებული 12 აგვისტოს ხელშეკრულებით) – ახალი საგუშაგოები გახსნა და ფრანგ პარტნიორს ლამის აშკარად დასცინოდა – მისი უმწეობის დემონსტრირებით.

მაგრამ სარკოზიმ და ფრანგულმა დიპლომატიამ (რაკი, ვიმეორებ, ეს საკითხი უკვე ეროვნული ღირსების პრობლემად მიიჩნიეს) მოსკოვს აგრძნობინა, რომ შედეგად ურთიერთობები გაუფუჭდებოდათ არა ამორფულ და დონდლო ევროგაერთიანებასთან, არამედ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ძლიერ ერთან, რომელთან ურთიერთძმედებასაც რუსეთისთვის ტრადიციულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის და ექნება კვლავაც. ესე იგი ქვეყანასთან, რომელიც ბევრად ნაკლებად არის დამოკიდებული რუსულ ენერგოშემცველებზე, ვიდრე თუნდაც იგივე გერმანია და საკუთარი პოზიციაც აქვს ნატოში.

კრემლი ყოველთვის ცდილობდა ნატოში ერთგვარი „შიდადაძაბულობის“ შეტანას – ამერიკის მიმართ დე გოლისეული საფრანგეთის განსაკუთრებული პოზიციის გათვალისწინებით (პრეზიდენტმა დე გოლმა თავისი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ორგანიზაციიდან გამოიყვანა), ხოლო პრეზიდენტ სარკოზისთან და მთლიანობაში საფრანგეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობათა გაფუჭება რუსეთს ამ „საერთაშორისო მოედანზე“ თამაშის საშუალებასაც მოუსპობდა, ანუ ევროატლანტიკური ალიანსის შემდგომ ანტირუსულ კონსოლიდაციას შეუწყობდა ხელს, რაც გრძელვადიანი თვალსაზრისით რუსული პოლიტიკისთვის ერთობ წამგებიანია.

აქედან გამომდინარე, მოსკოვმა პირიქით ამჯობინა: დაედასტურებინა საფრანგეთის გავლენა ევროპაში, რაკი ეს ქვეყანა ამერიკის ყველაზე ჭირვეული პარტნიორია კონტინენტზე.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## საქართველოს უფლება აქვს დაიცვას თავისი ტერიტორიები

**აშშ** საქართველოში სპეციალურ მისიას გააგზავნის, რათა შეფასდეს, რა არის საჭირო ქვეყნის შეიარაღებული ძალების აღდგენისთვის, – იუწყება რადიო „თავისუფლება“.

როგორც აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ერიკ ედელმანმა განაცხადა, მისიის მუშაობის შედეგებით ვაშინგტონი საქართველოს მხარდასაჭერად მისაღებ აუცილებელ ზომებს განსაზღვრავს.

საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი თავი, – აღნიშნა ედელმანმა.

## ამერიკელი ინვესტორი ომს არ უშინდება

**საქართველოში** ომის შემდეგ პირველი ინვესტორი ჩამოვიდა.

როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა ჟვანიამ განაცხადა, ამერიკელი ინვესტორი ირვინ კაცოფი „დოჰენი ჯგუფის“ გენერალური დირექტორია.

მისი ვიზიტი აგვისტოში იყო დაგეგმილი, თუმცა საქართველოში საომარი მოქმედებების დაწყების გამო გადაიდო.

ირვინ კაცოფის თქმით, დღეს საქართველოს სჭირდება არა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება, არამედ – ინვესტიციებიც.

ირვინ კაცოფი, ძირითადად, სამშენებლო საკითხებით არის დაინტერესებული, თუმცა ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, რა სახის ინვესტიციას ჩადებს საქართველოში.

## ევროსაბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეთა დეკლარაცია

**საქართველოს** საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეთა დეკლარაცია, რომელიც 9 სექტემბერს პრეზიდენტ სარკოზისთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გაადაეცა.

დოკუმენტს ხელს აწერენ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და ევროკომისიის თავმჯდომარე ხოსე მანუელ ბაროზუ.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეები კიდევ ერთხელ უკიდურესად მკაცრ შეფასებას აძლევენ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად აღიარების საკითხს.

ევროკავშირი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, – ნათქვამია დოკუმენტში.

ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეები კიდევ ერთხელ აფიქსირებენ 12 აგვისტოს თბილისსა და მოსკოვში ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი შეთანხმების სრული და დაუყოვნებლივი შესრულების აუცილებლობას.

## საჩხერისა და კარალეთის საგუშაგოებს ჯერჯერობით არ აუქმებენ

**რუსი** ოკუპანტები სოფელ კარალეთთან უკანონოდ გახსნილ ბლოკ საგუშაგოებს კვლავ ამაგრებენ. ამის შესახებ შიდა ქართლის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურში განაცხადეს.

სოფელი კარალეთიდან რუსების გასვლის სამზადისიც არ შეინიშნება. როგორც რუსი აგრესორები თავად აცხადებენ, კარალეთის საგუშაგოს გაუქმება ყველაზე გვიან იგეგმება, რადგან ის კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარეობს.

რუსი ოკეპანტები არც საჩხერეში უკანონოდ გახსნილ ბლოკ-პოსტებს ტოვებენ.

რუსი ოკუპანტები საჩხერის ტერიტორიიდან გასვლის სამზადისის ნაცვლად ბლოკ-საგუშაგოებს კიდევ უფრო ამაგრებენ. რუსებმა კაპიტალურად მოაწყვეს სოფელ პერევში გახსნილი ბლოკ-საგუშაგო. აგრესორებს სოფლიდან გასვლა არ დაუწყიათ, – განაცხადა საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ.



## დაიწყო პოლიციელთა გადამზადება

**იუსტიციის** სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის 10 პოლიციელი გადამზადების ათდღიან კურსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში გადის.

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, პოლიციელთა პირველი ნაკადის შემდეგ სწავლებაში დეპარტამენტის რეგიონული პოლიციელებიც ჩაერთვებიან.

სწავლება პოლიციის აკადემიასა და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო.

## რამდენით იზარალა „ენერგო-პრო ჯორჯიამ“?

**კომპანია** „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ რუსული აგრესიის შედეგად 6 მლნ ლარით იზარალა.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიის შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა ლიბორ ოლეჰლამ განაცხადა.




მისი თქმით, ზარალში შედის, როგორც დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზები, ასევე ქვესადგურები, რომლებსაც „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამ დროისთვის ვერ აკონტროლებს. საუბარია ახალგორის რაიონსა და ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებზე.

## ევროპას ენეგორესურსებით აზერბაიჯანი მოამარაგებს

**აშშ** აზერბაიჯანის გადაწყვეტილებას ევროპისთვის ენეგორესურსების მიწოდების შესახებ, მხარს უჭერს და ხელს შეუწყობს, განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმოადგენელმა ბოიდონ გრეიმ და დასძინა, ეს ჩვენი ძირითადი გზავნილია აზერბაიჯანის მთავრობის მიმართო.

ბაქოში ვიზიტისას გრეიმ განაცხადა, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყანას შორის უთანხმოებაა, სიმართლეს არ შეესაბამება.

მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართა და ეს, პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ჩემი შეხვედრისასაც დადასტურდა, – განაცხადა მან.

ბაქოში ვიზიტისას გრეიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ ის თურქეთის ენერგეტიკის მინისტრს შეხვდა და მათ სხვადასხვა საკითხებთან ერთად ნავთობ და გაზსადენების უსაფრთხოების საკითხებსიც განიხილეს.

გრეის განცხადებით, ეს საკითხი აზერბაიჯანულ მხარესთან გამართულ შეხვედრაზეც განიხილეს.

აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმოადგენელმა განაცხადა, რომ თურქმენეთში და თურქეთში იმყოფებოდა და მათთან სხვადასხვა საკითხებთან ერთად რუსეთის მიერ ენერგორესურსების შეძენის და ენერგორესურსების დივერსიფიცირების საკითხებზე ისაუბრეს.

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

◉ ინფორმაცია



## სკოლებში სწავლა პირველ ოქტომბრამდე დაიწყება

**თბილისის სკოლების უმეტესობა სასწავლო პროცესს 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე განაახლებს. ამის შესახებ, გუშინ გამართულ ბრიფინგზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა.**

**თბილისის მერის განცხადებით, სასწავლო პროცესი არ ჩაიშლება და მცირედი შეფერხების გარდა სწავლა თითქმის ყველა სკოლაში დაიწყება.**

**უგულავას თქმით, თბილისში 200 სკოლიდან 156 სკოლა დაიწყებს ფუნქციობას დანარჩენი 25 კი, სასწავლო პროცესს ეტაპობრივად გაანაახლებს.**

**ამ დროისთვის თბილისში იმყოფება 30 ათასი დაზარალებული ადამიანი. მათი უმრავლესობა გადანაწილებულია თავისუფალ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საბავშვო ბაღებში, ასევე 4 სკოლაა, რომელშიც დროებით დარჩებიან დაზარალებულები — განაცხადა გიგი უგულავამ.**

**რაც შეეხება იმ 25 სკოლის ბავშვებს, რომლებიც სწავლას ვერ დაიწყებენ, ისინი ახლომდებარე სკოლებში გადანაწილდებიან და ასეთ სკოლებში სასწავლო პროცესი მეორე სმენაში განხორციელდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ განსჯა

(მესამე გვერდიდან)

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ევროკავშირის თავმჯდომარე ამჟამად დიდი ბრიტანეთი რომ ყოფილიყო, ამ ქვეყნის მიმართ ბოლო წლების პოლიტიკური „მეინსტრიმის" ფარგლებში, მოსკოვი არავითარ შემთხვევაში ასე იოლად დათმობაზე არ წავიდოდა და ლონდონს მეორე დამამცირებელ „პოლონიუმის საქმეს" მოუწყობდა — საქართველოს სახით.

რი წარმომავლობით უნგრელმაძ მიაღწია კიდეც და პირველი ნაბიჯი გადადგა იმ დიდი ერის ისტორიაში „წარმატებულ პრეზიდენტად" შესასვლელად, რომელმაც მას წინამძღოლობა ანდო.

მით უმეტეს, რომ მისი ამ წარმატებით მეუღლე კარლა ბრუნიც აღტაცებული იქნება.

ისევ და ისევ ჩვენდა საბედნიეროდ, ეს პიროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები ამჯერად საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაემთხვა: ომი მავლობით, გაეროს ეგიდით და „საქართველოს მეგობარი ქვეყნების" მონაწილეობით.

რა თქმა უნდა, საქართველო არასდროს შეურიგდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და სწორედ ეს „შეურიგებლობა" (სავსებით ბუნებრივი და გამართლებულიძ მისცემს კრემლს შესაძლებლობას, მუდმივად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ საქართველო არასრულფასოვანი სახელმწიფოა, რომ-

# რუსეთი ტაქტიკურ დათმობაზე წავიდა

პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე ნიკოლა სარკოზი აშკარად ბედნიერი იყო — რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა კიდეც: „ერთ თვეში ასეთი კონფლიქტის მოგვარება თითქმის შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ მაინც შევძელით".

იმ ვითარებაში, როდესაც იგი წარუმატებლად შუამავლობს ახლო აღმოსავლეთშიც (სადაც სწორედ ამ დღეებში მოაწყო მორიგი უშედეგო ტურნეძ მისთვის ეს წარმატება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და, რაღა თქმა უნდა, მიზნად რეალურად შესაძლებელ შედეგს ისახავდა (ბუფერული ზონებიდან რუსული ჯარის გაყვანასძ და არა აბსოლუტურად უკვე არარეალურს — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციას ან მათი დამოუკიდებლობის ცნობაზე რუსეთის უარს.

ამ მიზანს სარკოზიმ (ეთნიკუშეწყდა, რუსული არმია ქვეყნის ძირეული(!ძ ტერიტორიიდან გადის, ხოლო შემდგომი პროვოკაციების თავიდან აცილების გარანტიას ევროკავშირის ასეულობით დამკვირვებელი შექმნის, რომლებიც აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" საზღვრებზე განლაგდებიან.

არადა, „ესეც საქმეა" — თუ აგვისტოს კრახის მაშტაბებს და სამხედრო საფრთხეს გავითვალისწინებთ.

თუმცა, სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოს მდგომარეობა კვლავ უმძიმესია: ორი რეგიონი ოკუპირებულია და მათი დეოკუპაციისათვის რუსეთთან დაპირისპირებას არავინ აპირებს — თუ არ ჩავთვლით 15 ოქტომბერს ჟენევაში დაგეგმილ მოლაპარაკებებს, რომელიც უდავოდ ისეთივე „წარმატებული" იქნება, როგორც 15 წლის განმავლობაში იყო — იმავე რუსეთის შუალის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20 პროცენტს და ზღვისპირეთის 60 პროცენტს რუსეთი აკონტროლებს; და რომ ასეთ ქვეყანას არათუ ნატოს „გზამკვლევი" არ უნდა მისცენ, არამედ სერიოზული ინვესტიციებიც არ უნდა განახორციელონ.

ამ რეალობის ფონზე კი, მოსკოვი სულ უფრო გააძლიერებს ეკონომიკურ ზეწოლას და აამოქმედებს მის ხელთ არსებულ ენერგეტიკულ ბერკეტებს („ენგურჰესი", ბუნებრივი აირი და ა.შძ, რათა მათი მეშვეობით ნელ-ნელა მიაღწიოს იმას, რისი მიღწევაც უშუალოდ სამხედრო ინტერვენციით ვერ შეძლო.

ამ თვალსაზრისით, რუსული ინტერვენცია ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ახლა იწყება — უბრალოდ სხვა ფორმითა და ინტენსივობით.

**ნიკა ვაშაკიძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ინფორმაცია

## ბაღები სკოლების ბაზებზე იფუნქციონირებს

**დედაქალაქის საბავშვო ბაღები დროებით სკოლების ბაზებზე იფუნქციონირებს. ამის შესახებ განცხადება თბილისის მერმა გიგი უგულავამ გააკეთა. უგულავას განცხადებით საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლის გადაწყვეტის მიზნით დედაქალაქის მთავრობა პროფკავშირებთან აქტიურად თანამშრომლობს.**

**გიგი უგულავას განცხადებით, სწორედ პროფკავშირებთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბავშვო ბაღები დროებით სკოლების ბაზებზე იფუნქციონირებენ.**

## ენგურჰესის მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება

**ენგურჰესის მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება და ჰიდროელექტროსადგურის ნაწილს კვლავ ქართული მხარე აკონტროლებს. ამის შესახებ ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს.**

**სამინისტროს ინფორმაციით, ჰესის შენობის ნაწილი, რომელიც გალის რაიონის სოფელ საბერიოს ტერიტორიაზე მდებარეობს და სადაც ჰესის ტურბინებია განთავსებული, აფხაზური მხარის მიერ კონტროლდება, თუმცა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, აქაც ქართველი სპეციალისტები მუშაობენ.**

**რაც შეეხება ჰესის იმ ნაწილს, სადაც კაშხალი მდებარეობს, სამინისტროს ინფორმაციით, ამ ნაწილს უწინდებურად ქართული მხარე აკონტროლებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რთველი — 2008

# წლეულსაც ტყემალი აჯობებს ყურძენს?!

## სახელმწიფოს მევენახეთა სუბსიდირებისთვის 12 მილიონამდე ლარი გამოუყვია

**ორშაბათს გურჯაანში, სასტუმრო „რები-გურჯაანში", „რთველი-2008"-ის შტაბი ამოქმედდა. მას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ხელმძღვანელობს. წლეულს, სავარაუდოდ, 145 ათას ტონა ყურძენს ელოდებიან.**

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დედოფლისწყაროელ მევენახეებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მთავრობა წლეულს ყურძენზე სუბსიდიების გაცემას მალე დაიწყებდა. პრეზიდენტისვე თქმით, შარშან სუბსიდიები ღვინის ქარხნებს არასწორად მისცეს, წლეულს კი სუბსიდიები ყურძნის ღირებულების გაზრდას მოხმარდება, სავარაუდოდ, ამ პროგრამისთვის 12 მილიონი ლარი გამოიყოფაო.

მნიშვნელოვანია ის, რომ წლეულს სახელმწიფო უშუალოდ მევენახეებს დაეხმარება და არა ქარხნებს. ყოველ ჩაბარებულ კილოგრამ რქაწითელში მევენახე ვაუჩერის სახით 15 თეთრს მიიღებს, ხოლო ყოველ კილოგრამ საფერავში — 25 თეთრს. ვაუჩერს „სახალხო ბანკი" ყურძნის ჩაბარებიდან სამ დღეში გაანაღდებს.

„რთველი-2008" კახეთში სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება, შემდეგ კი საქართველოს სხვა რეგიონებში გადაინაცვლებს. კახეთში რთველის დასრულებისთანავე სოფლის მეურნეობის შტაბი რაჭაში გადაინაცვლებს და იქ დაეხმარება გლეხებს ყურძნის მოსავლის ჩაბარებაში. ამ მხარეში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია ალექსანდროულ-მუჯურეთული ჯიშის ყურძენზეც გაიცემა, გათვალისწინებულია ყოველ კილოგრამზე ერთი ლარი.

— რქაწითელი კილოგრამი 1 ლარად მაინც უნდა ჩავაბაროთ, რომ რაღაც უკუგება მაინც მივიღოთ, — ამბობს გურჯაანელი გიორგი ქევხიშვილი — ამიტომ სახელმწიფოს მეტი დახმარება უნდა გაგვიწიოს. ჯერ არ ვიცით, ქარხნები რა ფასში ჩაიბარებენ ყურძენს, დაპირება კი არის, რომ გულს არ გვატკენენ, მაგრამ ხშირად დაპირებებსაც ვერ ასრულებენ. ვნახოთ, წლეულს რა იქნება, ისე მოსავალი ძალიან კარგია, თვალს ვერ მოწყვეტთ ყურძნით დახუნძლულ მწკრივებს კარგი ყურძნიდან კი კარგი ღვინო დამზადდება...



... მანამდე, 7 აგვისტოს, ყვარელში სს კორპორაცია „ქინძმარაულის" ქარხანაში ხელი მოეწერა მევენახე ფერმერების ჯგუფსა და ქარხნის ხელმძღვანელობას შორის წინასწარ შეთანხმებას, რაც მიზნად ისახავს მევენახე ფერმერების მიერ მაღალხარისხიანი ყურძნის წარმოებას და შემდგომ მის გარანტირებულ რეალიზაციას.

ეს ღონისძიება საერთაშორისო პროექტ GTZ-ის დახმარებით განხორციელდება. პროექტის სახელწოდებაა „ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში". მის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა მევენახეობა-მეღვინეობაში ისეთი სისტემის შექმნას, რაც უპასუხებს ღვინის თაობაზე ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობას. ამ პროექტის განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, ამის მსგავსი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ განხორციელებულა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეს სიახლე ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას და საქართველოში ღვინის ხარისხის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ქართულ ღვინოს უსათუოდ კონკურენციულს გახდის მსოფლიო ბაზარზე.

შეხვედრაზე მევენახე ფერმერებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი შეთანხმების გაფორმება ღვინის უშუალო მწარმოებლებთან მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს და მათ ხარისხიანი ნედლეულის დამზადების სტიმულს მისცემს. აქვე აღინიშნა, რომ საჭიროა ქვეყანაში გამკაცრდეს შხამ-ქიმიკატების ყიდვა-გაყიდვის კონტროლის მექანიზმი, რადგან უხარისხო პესტიციდების გამოყენებამ კახეთში ყურძნის მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა.

მსგავსი შეთანხმებები უკვე გაფორმდა შპს „ვაზი+"-ს, „წინანდლის ძველ მარანსა" და ადგილობრივ ფერმერებს შორის.

GTZ-ის პროექტი, საქართველოს ღვინის მეწარმეთა ფონდთან და დეპარტამენტ „სამტრესტთან" ერთად ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას, რაც პერსპექტივაში უსათუოდ შეუწყობს ხელს ყურძნის მოსავლის უდანაკარგო აღებას და მევენახეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ორ-სამ დღეში რთველი-2008 უკვე ძალაში შევა, კვლავ, ვინ იცის მერამდენედ, ქარვისფერი რქაწითელით აივსება საწნახელები.

ღმერთმა ქნას, ტყემალმა წლეულსაც არ აჯობოს ფასით ყურძენს!

**ნაზი იმნაიშვილი**

## ისრაელი-საქართველო

*ისრაელში, ხმელთაშუაზღვისპირეთის პატარა ქალაქ ნაჰარიაში ცხოვრობს პოეტი ქალი თინა შიმშილაშვილი.*

*ეს ის ქალია, ვისი მისამართის ცოდნაც აქ საჭირო არ არის, — ნებისმიერი გამვლელი თუ ტაქსის მძღოლი მიგასწავლის მის სახლს;*

*ეს ის ქალია, ვინც, ისრაელში ასვლისთანავე, საკუთარ ბინაში გახსნა სკოლა, რათა ისრაელში დაბადებულ ქართველ ებრაელთა შვილებისთვის უსასყიდლოდ ესწავლებინა ქართული წერა-კითხვა. „ბებო, თინა მასწავლებელს მიმაბარა დედაჩემმა, რომ შორეულ ქუთაისში მქონდეს შენთან მიმოწერა“, — ასეთ წერილებს ღებულობდნენ საქართველოში დარჩენილი ბებიები ჯერაც თვალით უნახავი შვილიშვილებისგან.*

*ეს ის ქალია, რომელიც ლიბანის საზღვარზე იდგა და ომში მიმავალ ბიჭებს ლოცვა-კურთხევით, ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით და „მუმლი მუხასას“ სიმღერით აცილებდა.*

*ეს ის ქალია, ვის მშვენიერ, ლირიკულ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღერიან საქართველოსა და ისრაელში: — „სანთელი ვარ, სასანთლეში სალოცავად ჩანთილი, თქვენთვის ლოცვად მოვლენილი, თქვენთვის ცრემლად დაღვრილი!“*

# სანთელი ანთია!

ცრემლი კი, მართლაც, ბევრი დაღვარა ორ სამშობლოზე მლოცველმა ქალმა, საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო.

მთელმა ისრაელმა შეიტყო, რომ ქალაქ ჰაიფის „რამბამის“ კლინიკაში ფეხის მძიმე ჭრილობების სარეაბილიტაციოდ ორი ქართველი ჯარისკაცი მოათავსეს. ქალბატონმა თინამ, ჩვეული ენთუზიაზმით, აიყოლია ნაჰარიელი ქართველი ებრაელი ქალბატონები და ნაჰარიიდან, ტაქსით ორმოცი წუთის სავალზე, „რამბამის“ კლინიკაში მოინახულა თბილისელი გურამ ჯარიაშვილი და რუსთავის მკვიდრი ირაკლი მათიაშვილი.



არა გვგონია, ამ ქვეყნად ვინმეს გაუკვირდეს ქართული სულით, ქართული ღიმილით, ქართული ცრემლით, მოყვასისადმი ქართული სიყვარულით გამთბარი სიტყვა და ალერსი. მაგრამ ის, რასაც ეს ქალბატონები აკეთებენ ამ სამი კვირის განმავლობაში, მართლაც რომ საარაკოა. ჩვენ არ გვეკადრება ჩადენილ მადლზე ლაპარაკი, მით უფრო საჩუქრებზე (მობილურ ტელეფონებზე, ნუგბარ-ნუგბარ ქართულ კერძებზე, ძვლის მალე შესახორცებლად ცნობილ ცხელ ხაშზე, ხაჭაპურებზე, ნამცხვრებსა და სხვა წვრილმან-მსხვილმანებზეძ საუბარი. მხოლოდ ერთია აღსანიშნავი: ირაკლისა და გურამის საწოლთან გვერდიგვერდ ალაგია „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ბოტასები იმის რწმენითა და იმედით, რომ ბიჭები ორივე ფეხზე დადგებიან და ამ ბოტასებით გაივლიან პირველ საცდელ ნაბიჯებს.

**თინა შიმშილაშვილი ქართველ მეომრებთან.**



ამ ორი ახალგაზრდის შემდეგ, საქართველო-ისრაელის ვაჭრობის პალატის პრეზიდენტმა ბატონმა იციკ მოშემ ჯერ 17 და, ერთი კვირის შემდეგ, კიდევ 25 დაჭრილი აიყვანა ისრაელის კლინიკებში სამკურნალოდ. დარწმუნებული ვართ, არც იმ ბიჭებს მოაკლდება ყურადღება და მოფერება. სხვა რომ არა, ქალბატონი თინა შიმშილაშვილის ლოცვა გაუნათებს გზას:

**— „ღმერთო იხსენი საქართველო და ქართველი ერი! ვამაყობ, რომ საქართველოში დავიბადე, იქ გავიზარდე, „დედაენით“ ავიდგი ენა, ქართული ცა მიფარავდა, ქართული ჰანგი მიმღერდა... მუხლმოდრეკილი ვევედრები უფალს საქართველოს გამთლიანებას, აღორძინებასა და გაბრწყინებას.**

**ჩემო სათაყვანო ერო ქართველო, ბადალი რომ არ გყავს მთელს მსოფლიოში, გეფერები ჩემი ორი სამშობლოს ტოლფასი სიყვარულით; შენი სიმართლით გაგიმარჯოს, არ შედრკე, ხომ ხედავ, რომ მარტო არა ხარ, მთელი მსოფლიო შენ შემოგყურებს, დედა ღვთისმშობელი გფარავს, წმინდა სანთლებით გინათებს გზას!“**

**გმადლობთ, ქალაბტონო თინა! შალომი იყოს თქვენს ორ სამშოლოში. ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!..**

ლეილა ნოდია

## მხატვრობა



***გულნარა წიკლაური საქართველოში დაიბადა, არის ინდივიდუალური სტილის პროფესიონალი მხატვარი. მისი ტილოები დაცულია საქართველოს, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში, ნიუ-იორკის ბილ კლინტონის ფონდში, ამერიკის რუსული ხელოვნების მუზეუმში.***

***გულნარა წიკლაურის შესახებ ნიუ-იორკის პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდება სტატიები. გამოდის ბუკლეტები და კატალოგები.***

***გულნარა წიკლაურისშემოქმედებას სიმბოლურს, სიურეალისტურს, ექსპრესიონისტურს, მონუმენტურს, იუმორისა და სარკაზმის, ტრაგიზმის ელემენტებით აღსავსეს უწოდებენ.***

***დღეს გთავაზობთ გულიკო წიკლაურის ავტოინტერვიუს***

# დიალოგი მონატრებულ საქართველოსთან

— მინდა მოგესალმოთ ტკივილნარევი სიხარულით, მე საზღვარგარეთ გადახვეწილი ერთი იმ ქართველთაგანი ვარ, ვისაც ნამდვილად უყვარს საკუთარი ქვეყანა და ვისი წარმატებებიც მუდმივადაა დაკავშირებული საზღვარგარეთ საქართველოს და ქართველი ხალხის საუკეთესო იმიჯის შექმნასთან.

უფრო ახლოს რომ გამიცნოთ, ალბათ, გაინტერესებთ რა არის ჩემი შემოქმედების კრედო, როგორ დავიწყე.

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დავიწყე ისე, როგორც იწყებს მრავალი მხატვარი. არ მახსოვს პირველად როდის ავიღე ხელში ფანქარი, მაგრამ კარგად მახსოვს, ვხატავდი ყველგან და ყოველთვის — საბავშვო ბაღში, სკოლაში, სტუდენტობის დროს. მერე ჩემი ინტერესის ვექტორი დროებით სხვა მხარეს გადაიხარა. გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ ამ ქვეყნად ყველაფერზე მეტად შემოქმედებითი პროცესი მიზიდავდა და საბოლოოდ მივუბრუნდი მხატვრობას.

გულიკო წიკლაური: 11 სექტემბერი, 2008 წ.



პირველი ტილო, რომელიც შევქმენი როგორც სიურეალისტმა, გახლდათ „ისტორიის ახალი გვერდი — საქართველო“. ეს არის სიმბოლიკა ინტელიგენციის შესახებ, რომელსაც ცხოვრებამ ისე წაუჭირა ყელში ხელი, რომ ნელნელა მუხლებზე დასცა. როცა სურათი ნიუ-იორკში ერთ-ერთ გამოფენაზე გავიტანე, რამდენიმე ამერიკელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ სწორედ ისინი დავხატე, რომ ამ ტილოზე საკუთარი თავი ამოიცნეს.

კიდევ ერთი თემა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის გახლავთ ქრისტიანობის, როგორც უმნიშვნელოვანესი მორალური პოსტულატის ასპექტები. ბიბლიური პერსონაჟები და სიუჟეტები ყველა დროში აინტერესებდათ მხატვრებს, მაგრამ მე ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ქრისტიანული რელიგიისადმი. ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში ხშირად ვყოფილვარ მარტო ღმერთის იმედით და ყოველთვის გამოვსულვარ ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან, ამას ემატება ის ძლიერი ემოციური მუხტი, რომელიც მივიღე ისრაელში, ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ ადგილებში რამდენჯერმე მოგზაურობის შემდეგ და რამაც კარდინალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

შეიძლება მკითხოთ რა შეიცვალა ჩემს შემოქმედებაში ამერიკაში წასვლის შემდეგ?

გიპასუხებთ, რომ ბევრი რამ ნამდვილად შეიცვალა. მხატვრობა მთლიანად გაიგივდა ჩემს ცხოვრებასთან. მაგრამ ძირითადი თემა კვლავ იგივე დარჩა, — დაბადების, ცხოვრებისა და სიკვდილის უსასრულო პრობლემები.

ამერიკამ მომიტანა თვითდაჯერება იმ არჩევანის სისწორის გამო, რაც გახლდათ ჩემი შემოქმედების მთავარი ლაიტმოტივი და, რაც მანამდე, მხოლოდ ქართული სინამდვილიდან აღებული მეგონა. ნიუ-იორკში, სადაც თითქმის მთელი მსოფლიოს წარმომადგენლები ცხოვრობენ, ჩემი სურათების თემატიკა ისევე ახლობელი და გასაგებია, როგორც საქართველოში.

მე არა ვარ ქართული ფერწერული სკოლის ტიპიური წარმომადგენელი ფერთა გამითა თუ კომპოზიციური გადაწყვეტით, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ ჩემი ნამუშევრების თემატიკა საქართველოსთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ გამონაკლისი იყო „9.11-2001“, რომელიც ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ცნობილ ტრაგედიას ეძღვნება.

ვიცი, ძნელია შემოქმედების სამყაროში ცხოვრება, იქ არ არის ლამაზი ყვავილები და პეიზაჟები, მაგრამ არის ის, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ ადამიანებს.

დღეს თითქმის ყველას აძლევენ ტრადიციულ შეკითხვას, როგორია მისი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი?

გიპასუხებთ მკვეთრად უარყოფითად: დასაბუთებისთვის არ მოვიტან იმ ფაქტებს, რაზეც ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ არცერთი ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი **არ შეეგუება ქვეყანაში გამეფებულ უზნეობას, უსამართლობას, ადამიანების დამცირებას, ბრძოლას მართალი სიტყვისა და ქართული ფასეულობების წინააღმდეგ. ეს პროცესები საქართველოში დღეს არ დაწყებულა. ჯერ კიდევ ბატონმა ედუარ შევარდნაძემ და მოქალაქეთა კავშირმა დაიწყეს ქართველი ერის მიზანმიმართული დეგრადაცია. მოქკავშირელებს ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდათ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის სახით.**

მოყოლებული 1992 წლიდან, ვიდრე დღემდე, ჩემი შემოქმედება სწორედ საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმია მიძღვნილი. პროტესტის გამოსახატავად ბევრი საშუალება მქონდა — სატელევიზიო გამოსვლები, სტატიები საქალაქო და რესპუბლიკურ პრესაში, მაგრამ ყველაზე ძლიერი იარაღი მხატვრის ფუნჯი გახდა. 2003 წლის შემდეგ ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების, მათში მიხეილ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის გამარჯვებასთან დაკავშირებით, შევქმენი ფერწერული ტილოები „პაიკი დედოფალი ხდება“ და „ქართველი დემოკრატები“.

როგორია ჩემი განწყობა? ვარ თუ არა ბედნიერი? როგორია ჩემი სამომავლო გეგმები?

**ბედნიერი არა ვარ. საკუთარ ქვეყანას, ახლობლებს, ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს, არასოდეს იქნება ბედნიერი. სამომავლო გეგმებზეც ვერაფერს გეტყვით. ამერიკული ცხოვრების წესი გაიძულებს იცხოვრო ყოველდღიურობით და ძალიან ცოტა დროს გიტოვებს მომავალზე საფიქრელად ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ჩემი შემოქმედება მუდმივად იქნება დაკავშირებული მშობლიურ საქართველოსთან.**

სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“
აშშ; 10 IX 2008.

ომის შემდეგ

# ვის შევჩივლოთ, ჯუღაშვილი მკვდარია

**ქუჩის მხარეს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს ჩაგისვამთ, ფასადია და შეიძლება, პრეზიდენტმა გამოიაროს, - სხვა კარ-ფანჯარა კი ან თავად შეაკეთე, ან ცოტა ფული მოგვეცი და ჩვენ გაგირემონტებთო, - უთქვამთ გორელი დაზარალებულისთვის.**

**ძველი რომაელების მსგავსად გორელებსაც თავიანთ ფორუმი აქვთ — ვეებერთელა ჭადრის მიმდებარე ტერიტორია ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის პარკში. ჩამოსხდებიან სკამებზე, შეეფარებიან ჩრდილს და ხანგრძლივად საუბრობენ, კამათობენ, მასლაათობენ. ერთმანეთს ცვლიან ორატორები, ექსპერტები, მიმომხილველები, მსმენელებიც კი. უცვლელია მხოლოდ საუბრის თემა — ჩვენი დაქცეული ყოფა.**

აი, ავთანდილ ხითარიშვილი, ქალაქში ცნობილი ექიმი და პატივცემული პიროვნება. ცხოვრება შრომაში აქვს გალეული და ახლაც, 86 წლის კაცი, მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. „ფორუმზე“ იშვიათად თუ შემოივლის, მაგრამ ახლა, ეტყობა, სათქმელი მოეძალა.



— 900 დღე ლენინგრადის ბლოკადაში გავატარე, მაგრამ იმედი არასოდეს დამიკარგავს. ჯოჯოხეთი მაქვს გამოვლილი. მტერი გვიტევდა, — ვიგერიებდით, გვბომბავდა — ოპერაციებს მაინც ვაკეთებდით, ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქ, ფაშისტებს გადავურჩი, აქ კი რუსებმა კინაღამ მომკლეს, — ექიმმა გაზეთი გაშალა და შიგ გახვეული რკინის ნაჭერი გვიჩვენა. — ქალაქი რომ დაბომბეს, სახლში ვიყავი. გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა და ფანჯრებმაც ლაწა-ლუწი დაიწყეს. რომ მიწყნარდა ზარი და ზათქი, ქუჩისპირა ოთახში გავედი. ფანჯრის მინები ერთიანად ჩამსხვრეული დამხვდა. ეს ჭურვის ნამსხვრევი კი იატაკში იყო ჩარჭობილი.

— არა უშავს. მაინც იოლად გადარჩენილხართ. გუბერნატორს კომისიები შეუქმნია, ქალაქის დაზიანებული სახლების აღწ,ერა მიმდინარეობს. თქვენთანაც მოვლენ.

— იყვნენ. ქუჩის მარჯვენა მხარის, წყვილნომრიანი სახლების კომისია ვართო. სიებში ჩანაწერები გააკეთეს და წავიდნენ.

— ახლა „მემარცხენეები“ შემოივლიან.

— ეგენიც ყოფილან, მაგრამ შეშლიათ და კვლავ მარჯვენა მხარე შეუმოწმებიათ. ისინიც თავიანთი სიებით მოსულან.

— რა ხელისუფლებაა, კაცო? — მარჯვენა მარცხენისგან ვერ გაურჩევიათ.

— ტყვიავში რომ ოსი მოთარეშეები შევიდნენ, იმათ კიდევ შავი სიები სჭერიათ ხელში. დღეს უკვე აღარავისთვის არის საიდუმლო: სოფელი ადრევე იყო უკვე გაყიდული, — ნუგზარ გიუნაშვილმა შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა, — ამ სიით მიადგნენ ისინი ჩემი ახლობლის ოჯახს. გარაჟიდან კარგად მოვლილი სატვირთო მანქანა გამოიყვანეს. შემდეგ მასპინძელს ფული და ოქრო მოსთხოვეს.

სამოცდათვრამეტი წლის ბერიკაცს რა ოქრო უნდა მქონდესო, უპასუხნია.

ბანდის უფროსს „შპარგალკაში“ ჩაუხედავს.

— როგორ, განა 28 წელი ხილის დამზადების პუნქტის გამგედ არ მუშაობდი?

პასუხის თქმა აღარ აცალეს. ერთი გასროლით მოკლეს. სახლი გამოაცარიელეს, ნაძარცვი სატვირთო მანქანაში ჩატვირთეს და სროლა-სროლით წავიდნენ.

მოკლული სახლის პატრონის ქალიშვილი გორში ცხოვრობს. დაბომბვის დროს მასაც სახლი გვარიანად დაუზიანდა. კომისია ეუბნება: ქუჩის მხარეს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს ჩაგისვამთ, — ფასადია და შ ეიძლება პრეზიდენტმა გამოიაროს! — სხვა კარ-ფანჯარა ან თავად შეაკეთე ან ცოტა ფული მოგვეცი და ჩვენ გაგირემონტებთო.

საქართველო ფასადის ქვეყანაა!

— წავიკითხე თქვენი საგაზეთო წერილი, „ჩვენ დავბრუნდებითო“, თანაც ძახილის ნიშნით,

გლობუსი

# „წინააღმდეგობა გამარჯვების

***წინა სტატიებში აღნიშნული მიღწევები, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე ირანში, შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ფართო მასების გაუნათლებლობის შემთხვევაში. პირველი, რასაც ირანის რევოლუციამ მიაქცია ყურადღება. განათლების სისტემის განვითარება იყო. ამ უაღრესად მამულიშვილურ საქმეში აქტიურად იყო ჩართული რელიგია. ცნობისთვის, ყურანის მიხედვით თუ ერთი ადამიანი მეორეზე განათლებულია, ის უფრო მაღლა დგას. მეცნიერება განიხილება, როგორც საგანძური. ისლამში პირველი სიტყვა არის — „წავიკითხე“. ყორანი განათლებულს მოუწოდებს გაანათლოს სხვა.***

ისლამის მეცნიერები აცხადებენ, რომ დასავლეთისა და ისლამის საზოგადოების დამოკიდებულება განათლებისადმი განსხვავებულია. მათი აზრით დასავლეთი დიდ ყურადღებას აქცევს განათლებას და მას იარაღად იყენებს. დასავლეთში განათლება გზის მაჩვენებელია, ხოლო ისლამში გზის მაჩვენებელიც და დამრიგებელიც, ანუ განათლება ადამიანს ურჩევს — ეს გზა აირჩიოს, ვინაიდან ეს მოიყვანს ტაძრამდე.

ირანში დიდი ყურადღება ექცევა რელიგიის სწავლისა და კვლევის საკითხებს. ამ დარგში განსაკუთრებით გამოირჩევა უძველესი ისტორიული ქალაქი ყუმი, რომელიც თეირანიდან 170 კმ. მდებარეობს. ირანში 28 პროვინციაა და ყველა მათგანი დიდი ქალაქიდან იწყება. მათ შორის ყუმი და მისი პროვინცია ყველაზე პატარაა — 12.000 კვ. კილომეტრის სიდიდის. ისლამის რევოლუციამდე ამ ქალაქის მოსახლეობა მილიონს არ აღწევდა, დღეს თითქმის 2 მილიონია. მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს სტუდენტები, სწავლულები, მეცნიერები შეადგენენ. ისტორიულ ქალაქში, სადაც უხვადაა ისლამის კულტურის ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფატიმა მასუმას მოოქროვილ გუმბათიან საყდარს, უზარმაზარ ჯამ კარანს და სხვა მონუმენტურ ნაგებობებს, მრავლადაა ისლამის სასწავლებლები, უნივერსიტეტები, კვლევითი ცენტრები. **ქალაქში 200-ზე მეტი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია, რომელშიც 40. 000-ზე მეტი ადამიანი ეუფლება ცოდნას არა მარტო ირანიდან, არამედ სხვა 80 სახელმწიფოდანაც. გარდა ამისა, თითქმის მთელი წლის განმავლობაში არ წყდება ყუმის შეჩერება და წმინდა ადგილებში მლოცველთა ნაკადი, როგორც ირანის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. იუნესკოს მიხედვით ქალაქი გამოცხადებულია ისტორიულ ნაკრძალად, რაც კრძალავს მაღლივი შენობების მშენებლობას.**

ირანისათვის დამახასიათებელია ერთი მნიშვნელოვანი რამ — სამრეწველო ობიექტების ქალაქებიდან 15-20 კილომეტრში განთავსება. ასეა ყუმშიც, რომელიც მთელს ირანში განთქმულია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით: ხორბალით, ბამბით, ბროწეულით, ნესვით, ლელვით, არამედ სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალით, მარმარილოთი, ნოხებით, კერამიკით და სხვა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ირანის ქალაქებში არსებული აღმოსავლური ბაზრები სავსეა ხელნაკეთი ნივთებით, აბრეშუმისა და შალის ხალიჩებით, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით, სამკაულებით, ტყავის ნაწარმით და სხვა.

უამრავ უცხოელ ტურისტში, მათ შორის აშშ-დან, თვალს ვერ მოჰკრავთ ქართველს. **დასავლეთისკენ თავბრუდამხვევმა ლტოლვილმა დაგვავიწყა ახლომდებარე ქვეყნები, რატომღაც მათ უცხოეთად არ მივიჩნევთ, ისინი ჩვენს ქვეყანაზე დაბალი განათლებისა და განვითარების გვგონია. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რასაც არაერთი ქართველისაგან მოისმენ ირანთან შედარებისას — ამათაც გაგვისწრესო. არც ქართული ბიზნესი გამოირჩევა არჩევანის მრავალფეროვნებით. რატომღაც მას მიაჩნია, რომ მარმარილო მარტო იტალიაშია და არსად სხვაგან. არადა ყუმის შემოგარენში არსებული ასობით მარმარილოს საამქრო გადაჭედილია სხვადასხვა სახის, ზომის, ფერის, ფორმის მარმარილოთ. ირანი სახელგანთქმულია არა მარტო სამშენებლო მასალით, არამედ გაზით, ნავთობით, ნავთობპროდუქტებით. თუმცა ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებები ჯაბნის საქმეს. გავიხსენოთ ორი წლის წინანდელი კრიზისი და ირანის გაზი. მაშინ მეზობელმა გაყინულ საქართველოს დროულად გამოუწოდა დახმარების ხელი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქცია ირანულ გაზთან დაკავშირებით ცალსახად უარყოფითი იყო. კრიზისის გავლის შემდეგ შეწყდა კიდევაც გაზით მდიდარ ირანთან თანამშრომლობა. ჯერ-ჯერობით უპასუხოდ რჩება ირანის შემოთავაზება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის 2 მილიარდი დოლარის ინვესტიციის ჩადების თაობაზე. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან აშშ-ს თანამგზავრი საქართველოსთვის უხერხულია იმ ქვეყანასთან თანამშრომლობა, რომელსაც ვაშინგტონი ალმაცერად უყურებს.**

ირან-ამერიკის ურთიერთობის ახალი ფურცელი 1979 წლიდან, ანუ ამერიკისადმი დადებითად განწყობილი შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის ჩამოგდებიდან იწყება. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ ჰქონია ადგილი ირანის რევოლუციის წინააღმდეგ ამერიკელთა გალაშქრებას. გახსოვთ, ალბათ, პრეზიდენტ კარტერის დროს ირანის უდაბნოში პენტაგონის მიერ, ვერტმფრენებით ჩატარებული წარუმატებელი ოპერაცია, ერაყის მიერ წამოწყებული რვაწლიანი ომი ირანის წინააღმდეგ, რომლის დროსაც აშშ თავდაუზოგავად ეხმარებოდა ერაყს ან ირანის ახალგაზრდა ხელისუფლების პარლამენტის ხელმძღვანელობისა და წევრების ტერორისტული აფეთქებით განადგურება, ვაშინგტონის დაჟინებული მოთხოვნით უშიშროების საბჭოს მიერ ეკონომიკური სანქციების დაწესება და სხვა მრავალი. **შექმნილი ვითარება თავისთავად ბადებს კითხვას — რით არის გამოწვეული ვაშინგტონის მოჭარბებული ანტაგონიზმი ირანის მიმართ? რა დააშავა ამ ქვეყანამ ისეთი, რომ აშშ-ი მზადაა დაბომბოს ის? პასუხი არის მარტივი, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაიგებთ ირანში — დამოუკიდებლობა, ანუ ვაშინგტონთან შეუთანხმებლად საკუთარი პოლიტიკური კურსის გატარება.** მართლაც ასე საშიშია ირანის ბირთვული პროგრამა ან ირანის რაკეტები ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეებისთვის? იქნებ რუსეთ-ჩინეთთან ფარულ ბრძოლაში ირანის მტრის ხატი საჭიროა მსოფლიოს დასაშინებლად?

**ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს პარამეტრებით, ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ურანის გამდიდრება 5 პროცენტის**



– მეუზნება თამარაშენელი ნაცნობი, ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მეცნიერ-მუშაკად რომ მუშაობდა ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში, ახლა კი გორის ბაზარში ცელოფნის პარკებს ყიდის. – უკეთესი იქნებოდა, კითხვის ნიშანი დაგესვათ. დავბრუნდებით? როდის? მე, პირადად, იმ აზრზე ვარ, თუკი ჩემს სახლში, თუმცა სადღა მაქვს სახლი, ნასახლარზე დამაბრუნებენ და ოსების ლუკმა არ გავხდები, რუსულ პასპორტს ავიღებ და თავიდან დავიწყებ ცხოვრებას. რაღაცას მოვქოხავ და მიწას მივხედავ – მოვხნავ, დავამუშავებ, დავთესავ. მიწაა მთავარი. ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავცვივდით?

– ცოტაც მოვითმინოთ და ნატოს კარებზე დავაკაკუნებთ.

– აგიჩემებიათ თქვენც... ნატო, ბუში, იმას კიდევ რა ჰქვია? სარკოზი! საკუთარი თავის იმედით როდის ვიცხოვრებთ? – შენიშნა ივანე პაპიტაშვილმა.

– ყველა ნაცარქექიას ჩვენში პრეზიდენტობა რომ უნდა, იმიტომაა საქმე კარგად, ჩემო პიპა, – სცადა საუბრის თემის შეცვლა ყოფილმა სკოლის დირექტორმა ოთარ მჭედლიშვილმა.

– მერე რითაა პრეზიდენტობა ცუდი?! ზიხარ არხეინად ლიმუზინში და მოგდევს ძუნძულით დაცვა. გადაჯდები თვითმფრინავზე და ახლა ათასი თვალი გაკვირდება, არაფერი შეგემთხვას.

– ზღვაზე?

– ზღვაზე გამახსენდა. კარიბის ზღვაში მალე ვენესუელისა და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ერთობლივი წვრთნა დაიწყება. უგო ჩავესს უთქვამს, მხოლოდ იმ პირობით, თუ წვრთნებში ჩემს მიერ აღიარებული სამხრეთ-ოსეთის საზღვაო ძალებიც მიიღებენ მონაწილეობასო.

– ეს კაცი რუკაზე თუ ცხინვალს მოძებნის, ორ ბანანს ვჩუქნი და დამატებით სათამაშო იალქანსაც.

ვილაც-ვილაცეებმა გაიცინეს.

მზე ჩავიდა. ბინდი ჩამოწვა ქალაქში. დამძიმებული გულით, დაღვრემილი სახით ტოვებენ გორელები ფორუმს. – ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის პარკს.

უფრო და უფრო პატარავდება ჩვენი მიწა-წყალი. მოვა ახალი პრეზიდენტი და ისე არ იქნება, რაიმე არ უფეშქაშოს რუსეთს – ცხინვალი, აფხაზეთი, ახლა კიდევ ლიახვის ხეობა, – თუ ასე ვიარეთ, მალე, როგორც პოეტი ამბობს, ისედაც საჯარიმო მოუდნისხელა ჩვენი მამულიდან, ბურთის აუტიდან გადმოსაგდები ადგილიც აღარ შეგვრჩება. მერე?

ვის შევჩივლოთ, ჯუღაშვილი მკვდარია.

**გურამ ვაშაკიძე**

---

მე ასე ვხედავ!

# მიდიან, მოდიან და ასე ჰგონიათ...

**დაიწერა ერთხელ ჩვენს გაზეთში, რომ ძლიერთა ამა საცოდავი ქვეყნისა უნდა მოუკლონ სახელმწიფო ბიუჯეტით გრიალს როგორც შიგნით, ისე, მით უმეტეს, გარეთ, ანუ საზღვარგარეთ, რომ არა გვაქვს ისეთი ცხოვრება, მსგავსი ფუფუნების ნებას ვაძლევდეთ თავს, რომ ამ გაუთავებელი ვოიაჟებითა თუ გაფრენებით ვერაფერს ვერ ვაკეთებთ ისეთს, გაწეულ და გაბნეულ ხარჯებად ღირდეს და ეს საკუთარ საყვარელ თავზე დახარჯული თანხები სჯობს ხალხს მოვახმაროთ... გაგიგონია? „ურემი ისევ იქა დგას...“**

მას მერე უარეს დღეში ჩავცვივდით და ეს დიდკაცთა (და „დიდქალთა“!ძ მივლინებები ამ ნახევრად (თუ მეტად არაძ დანგრეული, კიდევ უფრო გაუბედურებული ქვეყნიდან არა და არ წყდება.

რამდენიც არ უნდა მიგვიწვიონ უცხოელებმა, სამიტი იქნება თუ სხვა მითი, უარი უნდა შევუთვალოთ, ფულები უნდა დავზოგოთ, მით უფრო, რომ ამდენი დამატებით დევნილი გვყავს მისახედი და მოსავლელი. ვიმეორებ, იქ ვერაფერს ვერ ვალწევთ ისეთს, რაც „თამაშად“ ეღირებოდა – რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ მერე ტელეეკრანიდან, „გარეთ“ მყოფმა თუ შინ დაბრუნებულმა, მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდა და ჩვენი ვიზიტი ერთობ სასარგებლო გამოდგაო...

ისე, ნეტავ ყველას კარგად ყოფნით, ბრიუსელებში, ჰააგებში, ლონდონებში, პარიზებში, ვაშინგტონებში, ნიუიორკებში სირბილის მაგიერ ნახევარი მაინც გვერბინა მოსკოვში და რუსეთი გვეთაფლა, როგორც ეს უთვალავჯერ ქნეს ბალაფშმა და კოკოითმა და გვაჯობეს კიდევაც ჭკუით; და მიიღეს კიდევაც, რაც უნდოდათ...

კი, რუსეთი ვერაგია, დაუნდობელი, სასტიკი, სისხლისმოყვარული, ტერიტორიებით გაუმაძღარი, თუმცა იმ მიწებსაც, რაც თავსაყრელად აქვს, ყველას ვერ მიხედავს და ვერ უვლის ისე, როგორც საჭიროა; კი, რუსეთში ლამის ყველა და ყველაფერი ველიკოდერჟავულია, იმპერიულია, თვით ჟურნალისტები და ჟურნალისტიკაც კი; მაგრამ რუსეთი დიდი ქვეყანაცაა, ძლიერი, ღონიერი და არასოდეს არ შეგვეშვება; დათვია, გვერევა და ბაბაია უნდა დავუძახოთ, ნუთუ აღარ არის ამის გაგების დრო? ნუთუ უმწარესმა, ტრაგიკულმა გაკვეთილებმა არაფერი არ უნდა შეგვასმინონ?

არც პოლიტიკოსი ვარ, არ პოლიტოლოგი, არც კონფლიქტოლოგი, არც ექსპერტი და არც მრჩეველი. სამჭკუაშვილიც კი არა ვარ, მაგრამ არც ურაპატრიოტი და უშნოდ „ჯოს, ჯოს“ მძახებელი ვარ. რიგითი მოქალაქე, რიგითი ჟურნალისტი გახლავართ და რასაც ვამბობ, ამ პოზიციიდან, ამგვარი კაცის ენა-პირით ვამბობ; და თუ ვცდები, თუ მეშლება, თუ მივქარავ, ამიხსნან, დამიმტკიცონ, ჩემს გამტყუნებას, ჩემს უკან დახევას რა უნდა – პირველი მე გავიმტყუნებ თავს...

**თამაზ ეზანოიძე**

---

გლობუსი

# საწინდარია“

**ფარგლებში. ირანი ძლივს აღწევს 3 პროცენტს. ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც გერმანელებმა დაიწყეს და დღეს რუსები აგრძელებენ, „მაგატეს“ მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ელ ბარადეიმ კატეგორიულად განაცხადა, რომ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში ის პროტესტის ნიშნად დატოვებს თანამდებობას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ რელიგია კრძალავს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას. მაშ რა აღიზიანებს აშშ? ის ხომ არა, რომ მშვიდობიანი ატომის შემთხვევაში ვითარდება ირანის ტექნოლოგია, იზრდება სამეცნიერო კადრები და ირანი უფრო მეტად დამოუკიდებელი ხდება? ირანი, რომელიც საკუთარი სამეცნიერო კადრების წყალობით წინ მიიწევს მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სამხედრო მშენებლობაშიც, ნაკლებად დათანხმდება საკუთარი ტექნოლოგიის ნაცვლად ძვირადღირებული ამერიკულ-დასავლური ტექნოლოგიის შეძენას, რაც რეგიონის დიდი ქვეყანა-კლიენტის დაკარგვას ნიშნავს, გარდა ამისა ძლიერი ქვეყანა, ძლიერი კონკურენტია დასავლეთისათვის.**

აშშ-ს უჭირს ისლამურ ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა. განსაკუთრებით პრობლემური შეიქმნა შიიტებთან ურთიერთობა. სუნიტები გაცილებით დამყოლნი აღმოჩნდნენ, ვიდრე შიიტები. **ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ მსოფლიოს მილიარდ 700 მილიონი მუსლიმანიდან მხოლოდ 170 მილიონია შიიტი. შიიტთა უმრავლესობა ცხოვრობს ირანში, ერაყში, ბაჰრეინში, აზერბაიჯანში. სხვა ქვეყნებში: ინდოეთში, პაკისტანში, არაბულ სახელმწიფოებში, მალაიზიასა და ინდონეზიაში შიიტები უმცირესობაში არიან.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ შიიტები და სუნიტები არცთუ მეგობრულად ცხოვრობენ. მათ შორის ხშირია სისხლიანი დაპირისპირებაც. ამის მაგალითად ერაყიც კმარა. ირანელ ექსპერტთა აზრით, დღევანდელ დაპირისპირებაში ინსპირატორი დასავლეთი და აშშ-ია.

ისტორიულად, განხეთქილება ისლამის დაფუძნებისთანავე დაიწყო, რამაც თავიდანვე გამოიწვია სუნიტებად და შიიტებად დაყოფა. არაბულად „შია“ მიმდევარს ნიშნავს, მოგვიანებით ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობა შეიძინა და გამოიყენება მხოლოდ იმამ ალის მიმდევრობის აღსანიშნავად. როდესაც 63 წლის ღმერთის მოციქულმა მუჰამედმა შეუძლოდ იგრძნო თავი, შეჰყარა ხალხი და განუცხადა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ საქმის გამგრძელებლად მისი ბიძაშვილი და სიძე, 33 წლის ალი მიაჩნია: „ალი იქნება ყველა იმათი მფარველი, ვისაც მე ვმფარველობ“ – განაცხადა მუჰამედმა. იქ მყოფებმა აღიარეს ალის წინამძღოლობა, თუმცა ერთმა ჯგუფმა არ მიიღო მისი ლიდერობა იმ საბაბით, რომ მუჰამედმა თქვა, ალი იქნება მეგობარი და არა წინამძღოლი. მეორე ჯგუფმა წინამძღოლად 61 წლის აბუბაქრი აირჩია. ორ ჯგუფს შორის განსხვავება ის არის, რომ ალის მიმდევრები ყველაფერში ეთანხმებიან ღმერთის მოციქულ მუჰამედს, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ თანხმობა მხოლოდ რელიგიურ საკითხებშია და არა პოლიტიკურ ან სოციალურ საკითხებში. **ქვეყნები, სადაც შიიზმია გავრცელებული, რელიგია აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის საკითხებში, მაშინ, როდესაც სუნიზმის ქვეყნებში რელიგია არ ერევა პოლიტიკაში.**

ირანში ყოველთვის ძლიერი იყო რელიგია. ის ყოველთვის ცდილობდა გავლენიანი პოზიციები ჰქონოდა სახელმწიფო პოლიტიკასა და მართვაში, რაც ვერ გაითვალისწინა ირანის შაჰმა რეზა ფეჰლევიმ და დაუშვა საბედისწერო შეცდომა. მისი დავალებით ირანის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გამოცხადდა, რომ ისლამი არ არის სახელმწიფო რელიგია, ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის 98 პროცენტი ღრმად მორწმუნეა. პროამერიკულად განწყობილმა შაჰმა პარლამენტს მეორე კანონიც მიაღებინა, რომლის მიხედვით ირანში ჩადენილი დანაშაულისათვის ამერიკელი ირანში ვერ გასამართლდებოდა. ორივე კანონის წინააღმდეგ, 1963 წელს, მკაცრად გაილაშქრა აიათოლა ჰომეინიმ, მისი ხანგრძლივი ბრძოლა რევოლუციით დასრულდა. რევოლუციამ 70 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მან მნიშვნელოვნად შეცვალა ისლამური სამყარო.

**შიიზმი მიიჩნევს, რომ სამართლიანობისათვის აუცილებელია ბრძოლა, მაგრამ გამორიცხავს მიზნის მიღწევისთვის ტერორიზმს. შიიტმა რომ იარაღი აიღოს, მას ვერც გამოიყენებს, ვიდრე არ იქნება რელიგიური ლიდერის მოწოდება. სუნიზმში ეს საკითხი გაიოლებულია, რაც კარგად ჩანს ბენ ლადენის მოქმედებიდან. სუნიზმი თვლის, რომ ჯიჰადი ისლამის პრინციპული ნაწილია, რასაც არ იზიარებენ შიიტები. ამიტომაც სუნიტები აკრიტიკებენ შიიტებს და მოჭარბებულ პაციფისტურობაში დებენ ბრალს. სუნიტების მიხედვით მთელი მსოფლიო ურწმუნოა, მათ შორის ქრისტიანები და იუდაველებიც. ყურანის მიხედვით ჯიჰადი არ გამოიყენება მუსლიმანთა წინააღმდეგ, მაგრამ სუნიტების გარკვეული ჯგუფები იყენებენ მას. ირანელი მეცნიერები თვლიან, რომ ფუნდამენტალიზმი გლობალიზაციის და ამერიკელთა მაქინაციების შედეგია, გარდა ამისა, სიღარიბის და განუვითარებლობის ნაყოფი. დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხის შემოსავალი 400-ჯერ აღემატება არაბულ სახელმწიფოების მოსახლეობის შემოსავალს.** ისლამის სწავლულთა აზრით, ფუნდამენტალიზმის შემცირებასთან ერთად შემცირდება დასავლეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბუშის პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ ფუნდამენტალიზმი დაიკლებს; მიუხედავად ამერიკელთა ბრძოლის ალ კაიდას წინააღმდეგ, არსებობს გარკვეული



სურვილი ბრძოლისა გაჭიანურებისა, რათა ის გამოყენებულ იქნას რეგიონში საკუთარი (ვაშინგტონისძ მიზნების განხორციელებისათვის, მათ შორის ირანის წინააღმდეგ. **ირანელი სპეციალისტების მონაცემებით, ბუშის პრეზიდენტობის დროს ალ კაიდას რიგები 40 პროცენტით გაიზარდა. ორგანიზაციას მსოფლიოში 36 წარმომადგენლობა აქვს.**

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტების მსგავსად ბუშიც ისე ტოვებს თეთრ სახლს, რომ ახლო აღმოსავლეთში ისრაელ-არაბთა დაპირისპირების საკითხი შეუსრულებელი რჩება, ისევე, როგორც 2002 წელს მის მიერ გამოცხადებული გეგმა ახალი ახლო აღმოსავლეთის შექმნის შესახებ. მაშინ მან 8 მიზანი დაასახელა: თავისუფალი არჩევნები, არასამთავრობოების შექმნა, ქალთა როლის ამაღლება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, შეიარაღების სახსრების განათლების სისტემაში გამოყენება, 2010 წლისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის შემცირება, ახლო აღმოსავლეთის ბანკის შექმნა, ჯარის რეფორმა და ტერორიზმთან ბრძოლა. არაბულმა ქვეყნებმა გეგმა არ მიიღეს, იმიტომ, რომ ყურადღება არ იყო გამახვილებული ისრაელ-არაბთა კრიზისზე. არაბებმა თავიანთი თავი ვერ დაინახეს ამ გეგმაში. მათ მხოლოდ ამერიკა დაინახეს. **ირანელ ექსპერტთა აზრით, ამერიკელთა პოლიტიკა ეყრდნობა სამ პრინციპს: ისრაელის დახმარება, მშვიდობაზე ყასიდი საუბარი და სიახლოვე, ახლო აღმოსავლეთის სამეფო კართან. ასეთი პოლიტიკით ამერიკა ფონს ვერ გავა. ვაშინგტონის ოცნებად რჩება ირანის, სირიის და ლიბიის ურჩი ლიდერებისა და ხელისუფლების შეცვლა.**

ირანელი სპეციალისტების აზრით, არსებობს ცსს-ა დაპენტაგონის ორი გეგმა – მაგარი და რბილი. **პირველი გულისხმობს ავღანეთისა და ერაყის განადგურებას, მეორე კი უკრაინის, საქართველოს, ყირგიზეთის მოთოკვას. ამერიკელთა მიზანია მეორე მუსლიმანების შექმნა. მათ ცალკე პროგრამები აქვთ შიიტებისა და სუნიტებისათვის. ირანის დასაჩოქებლად ქვეყნის შიგნიდან აფეთქების გარდა, არც გარედან სამხედრო ძალის გამოყენებასაც გამორიცხავენ. ირანის საზოგადოება რეალურად აფასებს მოვლენებს. ის სულაც არ არის დამფრთხალი ამერიკელთა მუქარით დაბომბვასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ თუ ეს მოხდა, ირანი საკადრის პასუხს გასცემს მას. ირანელები დარწმუნებული არიან თავიანთ თავში და იმაში, რასაც მათ პრეზიდენტი აჰმადინეჟადი ამბობს: „წინააღმდეგობა გამარჯვების საწინდარია“.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არა, ჩვენ ყველა – ქართველი არა ვართ



**საქართველოსათვის სოლიდარობის აღთქმა, რაც ჩეინიმ მისცა ამ ქვეყანას, – ეს მხოლოდ რუსეთთან დავის საშუალებაა, ნავთობის მიწოდების გარანტია და რესპუბლიკელებისათვის დახმარებაა.**

როდესაც უცხოეთში მიდის, დიკ ჩეინი თითქმის ყოველთვის ახდენს საგარეო პოლიტიკურ წრეებში ქარიშხლის პროვოცირებას. მისმა ამასწინანდელმა ტურნემ აზერბაიჯანში, უკრაინასა და საქართველოში თითქმის გაამართლა მოლოდინი. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა მიიწვია უკრაინა და საქართველო ნატოში, საქართველოს კი, ამას გარდა, დაჰპირდა ჰუმანიტარულ დახმარებას ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით რუსეთთან ბრძოლის შედეგად დანგრეული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის.

როდის მოასწრო საქართველომ გამხდარიყო ამერიკის შეერთებული შტატების 51-ე შტატი? მე მივესალმები ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, მაგრამ როდესაც 4-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანას გამოუყოფენ მილიარდ დოლარს? მე მაცოფებს, რომ ამერიკა ამ დახმარებას აგზავნის არა სულიერი სიკეთის გამო: საკითხი შეეხება ცივ, მოფიქრებულ ნაბიჯს, რომელიც პირდაპირ რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. უფრო მეტიც, ეს არის ჯილდო საქართველოს მთავრობისათვის მისი უგუნური მოქმედების გამო: სეპარატისტულ პროვინციაში შეჭრის გამო, თუმცა ვაშინგტონი, ზოგიერთის ცნობით, ერიდებოდა ამ ნაბიჯის გადადგმას და პარალელურად კატასტროფული მორალური ეთიკური პრობლემის შექმნას.

ჩეინიმ ვიზიტის დროს საქართველოს „მამაცები“ უწოდა, აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკელები სოლიდარული არიან „საქართველოს ხალხთან“. და, განა ეს სერიოზულია? ვისაც უნდა დავენაძლავებით, რომ ამერიკელთა უმეტესობა ვერ შეძლებს რუკაზე სამხრეთ ოსეთის ჩვენებას, მით უმეტეს მისი დამოუკიდებლობის აღიარებას. ამერიკელების მოულოდნელი სიყვარულის მიზეზი ყოველგვარი ქართულისადმი სხვადასხვაგვარია. ჯერ ერთი, უკვე რამდენიმე წელიწადია მწიფდებოდა კონფლიქტის განახლება რუსეთთან ცივი ომის სტილში. იუკოსის საქმე, ხაკერული ომი რუსეთისა ესტონეთთან და ბრიტანეთის საბჭოსთან დაკავშირებული დავა – ეს ყველაფერი გარკვეული ტენდენციის სიმპტომია. როდესაც ვლადიმერ პუტინი პირს დააღებს, ყოველთვის გაისმის მორიგი ანტიდასავლური განცხადება.

მეორეც, საქართველო მდებარეობს მნიშვნელოვანი დერეფნის ზონაში, სადაც ხდება ენერგოშემცველების ტრანსპორტირება. საქართველოს ტერიტორიაზე გადის მიწისქვეშა ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანი, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აერთებს. ეს მილი უაღრესად საჭიროა იმისათვის, რომ ნება არ მიეცეთ ირანსა და რუსეთს დაადონ თათი კასპიის ნავთობს. ჩეინიმ იცის ეს ფაქტი ყველაზე უკეთ და ჩქარობს გადადგომამდე მოილაპარაკოს ენერგეტიკულ პროექტებზე მომავალი კლიენტებისათვის. საქართველო კი იხდის საფასურს ხელგაშლილად, რაც, ალბათ, კარგად იცის რენდი შოინემანმა, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში მოელაპარაკა თბილისს 200 ათასი დოლარის დახმარების შესახებ, და რომელიც ამ დროს არის ჯონ მაკკეინის უფროსი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მესამეც, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილმა აქტიურად, ჩახუტებით მოეფერა ახმედ ჩალაბის. ეს პრეზიდენტი – ახალგაზრდა, ელეგანტური, ინგლისურის მცოდნე – მასპინძლობდა და პატრონობდა ყველა ვაშინგტონელ ახალ კონსერვატორს.

საპასუხო კეთილი ნების გამოხატვით თითქმის მთელმა ვაშინგტონმა თვალი დახუჭა იმაზე, რომ სააკაშვილმა გასული წლის ნოემბერში უბრძანა თავის ჯარებს, გაეხსნათ ცეცხლი უიარაღო დემონსტრანტებისათვის და დახურა რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეკომპანია, რამაც გამოიწვია ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

დაბოლოს, ცივი ომი რუსეთთან ხელსაყრელია რესპუბლიკელებისათვის. რაც უფრო განიცდის ამერიკის ელექტორატი ქვეყნის უშიშროებას, მით უფრო მარჯვნივ მიიწევს იგი. პუტინმაც კი გადაუკრა, რომ საქართველოს ოპერაცია ჩაფიქრებული იყო ვაშინგტონში, რათა დახმარებოდნენ მაკკეინს. მართალია, ეს იდეა რამდენადმე მოუფიქრებელია, მაგრამ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გაუარესება მაკკეინისათვის, უეჭველია, ხელსაყრელია.

როდესაც ყოველივე ამის შესახებ ვლაპარაკობ, სულაც არ მინდა რუსეთის დაცვა. ადვილი არ არის კრემლის მოქმედებათა გამართლება, მის მიერ გასულ ათწლეულში უახლოეს უცხოეთში განხორციელებული ღონისძიებების გამართლება. მაგრამ უგუნურებაა, დადგენებისმიერი სახელმწიფოს მხარეს, რომელიც რუსეთის მიმართ გამოწვევას აკეთებს, ანდა მოუფიქრებლად აფართოებს ნატოს აღმოსავლეთისკენ – ეს სულაც არ არის გონივრული პოლიტიკა და არც სტრატეგიული პრიორიტეტი სიტუაციაში, როდესაც ირანი ელვისებურ პროგრესს ახდენს ბირთვული დამუშავების დარგში, ავღანეთი კი ყოველ კვირას სულ უფრო და უფრო გვაგონებს ერაყს. ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია რუსეთთან თანამშრომლობა. აქედან არ უნდა გავაკეთოთ ის დასკვნა, თითქოს, არ უნდა გავაკრიტიკოთ მოსკოვი, მაგრამ, როდესაც აღიზიანებს რუს დათვს, ჩეინი შემდგომ პრეზიდენტს მემკვიდრეობით უტოვებს მხოლოდ სახიფათო საგარეო პოლიტიკურ კრიზისს.

საქართველო შესანიშნავად ეწერება რესპუბლიკელთა ილუზორულ შავ-თეთრ საგარეო პოლიტიკურ კურსში – ისტორიამ იცის იმის შესახებ, რომ ჩვენს მსოფლიოში არის სიკეთეც და ბოროტებაც და რუსეთი გარკვეულწილად განასახიერებს კიდეც ბოროტებას. არ ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ რუსეთ-საქართველოს ომის ტიპის სიტუაციის ანალიზი და გამოვავლინოთ ნიუანსები – ეს დემოკრატების საყვარელი მეცადინეობაა, რომელიც ბოროტებასთან მოლაპარაკების ტოლფასია, – ეს შედარება გასულ კვირას ხშირად გაისმოდა სენტ-პოლეში.

ჩეინის უგუნური საგარეო პოლიტიკა უნდა შევაჩეროთ. საქართველოსთვის, უკრაინისა და აზერბაიჯანისათვის ყოველგვარი ქრთამის დაპირება – ეს ჯერ კიდევ არ არის თანამიმდევრული კურსი, ეს მხოლოდ რეფლექტორული, უგუნური რეაქციაა რუსეთის აგრესიაზე, რაც კიდევ უფრო ასხამს ნავთს ცეცხლზე.

საინტერესოა: თუ სააკაშვილი ნამდვილად „პოლიტიკური გვამია“, როგორც მას მრისხანების ჟამს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უწოდა, მაშინ ჩეინის ამასწინანდელი შეხვედრა ქართველ ლიდერთან იყო მხოლოდ ორი პოლიტიკური გვამის საუბარი.

**ლაიონელ ბიხნერი**

**Guardian**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული ბანკის ვაკანტურ თანამდებობაზე:**

– სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტის სავალუტო რეზერვებისა და სუვერენული ფონდების მართვის განყოფილების სპეციალისტი (პორტფელის მენეჯერი) – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 1 340 ლარი).

**ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს:**

- საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ანალიზი;
- ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსური ინსტიტუტების, საბანკო დეპოზიტებისგან შემდგარი პორტფელის მართვა დერივატიული ინსტრუმენტების გამოყენებით;
- პერიოდულად მოკლე ანალიტიკური მასალების მომზადება.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსი მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

***საკვალიფიკაციო მოთხოვნები:***

- უმაღლესი განათლება ეკონომიკაში, სასურველია ფინანსების განხრით;
- საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- ფულადი და კაპიტალის ბაზრების, ასევე დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტების ცოდნა;
- ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე პროცესების დამოუკიდებელი ანალიზის უნარი;
- კარგი ანალიტიკური უნარ-ჩვევები;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- როგორც ინდივიდუალურად, ასევე თანამშრომელთა ჯგუფებთან ერთად ეფექტური მუშაობის უნარი;
- ოპერატიული აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი სამუშაოს შესრულების უნარი;
- Micorosoft საოფისე პროგრამების ცოდნა და მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი საერთო უნარ-ჩვევების, პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის მონაცემთა საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორი კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ეროვნული ბანკის
საკონკურსო-საატესტაციო კომისია
საქართველოს ეროვნული ბანკი
ლეონიძის ქ. 3/5; თბილისი 0105

**საკონტაქტო პირები:**
**ზურაბ კაკულია, ნინო ფაღავა**
**ტელ: (995 32) 442-250; 442 175**
**ელ-ფოსტა:** zkakulia@nbg.gov.ge;
npaga@nbg.ge

**ან იხილეთ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდი:** www.psb.gov.ge

**საჯარო სამსახურის ბიურო**

გულის ბუხარი

დაბოლოს, ისევ დროსა და სივრცეში არარსებული წერილის შესახებ, რომელიც, რამაზ კლიმიაშვილის ავყიობის შესაბამისად, ვითომცდა, ზვიად გამსახურდიამ დაწერა. ამასთან დაკავშირებით, დღემდე მოხალისედ ყურდახშობილ საზოგადოებას უნდა მივაღრიალო: მე იმათთაგანი ვარ, ვინც საკუთარი სინდისის კარნახითა და ბატონ ზვიად გამსახურდიას დავალებით ამგვარ ხმაბოლდვებს ვებრძოდი მთელი ჩემი ცხოვრება, მათ შორის 1992-93 წლებში. ამას ვაკეთებ დღესაც.

არც მაშინ და არც დღეს ასეთი რამ მეგრელთა ნება არ ყოფილა, იგი რუსეთისა და ტექნოკრატიული ევროპის დაჟინებელი მიზანი იყო ყოველთვის, რომლის თავს მოხვევა სამეგრელოსთვის წყლის ნაყვა აღმოჩნდა.

რაც შეეხება თვითონ ზ.გამსახურდიას, იგი რუსებმა სასიკვდილოდ მხოლოდ მას შემდეგ გასწირეს, რაც 1993 წლის ნოემბერში რუსების მიერ საქართველოს გაყოფის გეგმას აღუდგა წინ.

როცა ქვეყანაში ამდენი ცილისმწამებელი, ჩასაფრებული, ვიგინდარა და ღვთისმგმობია, ის ისჯება და იქ გამარჯვებაზე საუბარი ფუჭია, რადგან ღვთისმგმობი ვერასოდეს შეჰკრავს ქრისტეს მხედრის კამარას!..

რუსეთის დაუფარავი აგრესიის დღეებში დროებით ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის, კერძოდ გალის რ-ნისძ მოსახლეობისგან რუსები მოითხოვდნენ, არაქართველად გამოეცხადებინათ თავი. ასევე სამეგრელოში ავრცელებდნენ პროკლამაციებს მეგრელთა ისევ და ისევ „არაქართველობის“ შესახებ და ა.შ.

როგორც დროებით ოკუპირებულ გალში, ასევე რუსულ ტანკგადამუხლუხებულ სამეგრელოში, ჩვენდა საამაყოდ, არ შემწყდარა და არც შეწყდება მეგრელთა დაუმორჩილებლობა, მათი ძალისხმევა ერთიანი საქართველოსთვის. ჩვენი მხარის მოსახლეობა, მათ შორის ჩემი შვილები, სხვა ქრისტეს მხედარი ქართველების გვერდით ილეწებოდნენ დედა საქართველოს თავისუფლებისათვის.

ვიმეორებ, მე არ ვიცი, იმ დღეებში სად იყვნენ პოლიტოლოგი რ. კლიმიაშვილი და ჟურნალისტი გ. ზედელაშვილი, მაგრამ მათი ეს წერილი გახლავთ სამოქმედო ინსტრუქტაჟი და კარნახი ეშმაკისთვის სულმიყიდული კონტინგენტისთვის. შედარებისთვის იხილეთ ამ დღეებში კვლავ გავრცელებული რუსული გეგმა:

### ÏËÀÍ ÄËß ÃÐÓÇÈÈ
### ÈÄÅÈ ÃÐÓÇÈÍÑÊÈÕ ÌÅÍÜØÅÂÈÊÎ Â Â ÎÑÒÐÅÅÌ ÂÀÍÛ ÂÐÅÌÅÍÅÌ

**2008-08-19. Àëåêñåé Âàëåíòèíîâè÷ Ìèòðîôàíîâ - ïðåçèäåíò Èíñòèòóòà ìèðîâûõ ñòðàòåãèé.**

**Êàêóþ Ãðóçèþ ìû äîëæíû ïîñòðîèòü, ÷òîáû «Öõèíâàë-2008» íå ïîâòîðèëñÿ? Èìåííî îá ýòîì ñòîèò çàäóìàòüñÿ ñåé÷àñ, êîãäà áîåâûå äåéñòâèÿ çàòèõëè.**

**Ãðóçèíñêèé íàðîä íå ïðåäñòàâëÿåò ñîáîé åäèíîãî (ýòíè÷åñêîãî) öåëîãî, ïîñêîëüêó ïðåäñòàâëåí 17 ñóáýòíè÷åñêèìè ãðóïïàìè, êàæäîé èç êîòîðûõ ñâîéñòâåííû ñâîé äèàëåêò. Íàïðèìåð, àáõàçû è îñåòèíû èìåþò ÿçûêè, îòíîñÿùèåñÿ ê äðóãèì ÿçûêîâûì ñåìüÿì, òî åñòü èõ îòëè÷èå îò ãðóçèíñêèõ ýòíîñîâ áîëåå ÷åì ãëóáîêî.**

**Âñåãî â ñîâðåìåííîé Ãðóçèè äî 100 ýòíè÷åñêèõ ãðóïï, â ÷èñëåííîì îòíîøåíèè ñðåäè êîòîðûõ ïðåîáëàäàþò ãðóçèíû – 70%; àðìÿíå – 10%, àçåðáàéäæàíöû – 9%, ðóññêèå – 1,5%. Ãðóçèíû äîïîëíèòåëüíî ðàçäåëÿþòñÿ íà 17 ýòíîñîâ (ïëåìåí), òî åñòü êàæäûé ãðóçèíñêèé ýòíîñ íàñ÷èòûâàåò îêîëî 4% îò âñåãî íàñåëåíèÿ ñòðàíû.**

**Ñëåäóåò òàêæå ñêàçàòü, ÷òî àáõàçñêèé è þãîîñåòèíñêèé íàðîäû èìåþò ïèñüìåííîñòü, îñíîâàííóþ íà ðóññêîé ãðàôè÷åñêîé îñíîâå (êèðèëëèöà), òîãäà êàê ãðóçèíñêàÿ åñòü âàðèàíò àðàìåéñêîé (çàïàäíîñåìèòñêîé) ïèñüìåííîñòè. (?!– ავტორიძ.**

**Ðåëèãèîçíûå ðàçëè÷èÿ â Ãðóçèè òàêæå âåëèêè è âíîñÿò äîïîëíèòåëüíûå ãëóáîêèå îòëè÷èÿ â æèçíü åå ðåãèîíîâ. Àðìÿíñêàÿ îáùèíà è ãðóçèíñêèå ñóáýòíîñû õîòÿ è èñïîâåäóþò ïðàâîñëàâèå, íî ðàçëè÷èÿ â èõ àâòî êåôàëè÷åñêèõ öåðêâàõ î÷åíü âåëèêè. Àäæàðöû æå, êàê èçâåñòíî, èñïîâåäóþò èñëàì.**

**Ïðè ýòîì è àáõàçû, è îñåòèíû, è àäæàðöû, è àðìÿíå èìåëè â äðåâíîñòè ñîáñòâåííóþ ãîñóäàðñòâåííîñòü è ñîáñòâåííûõ öàðåé. (ქართულ მიწაზე?! „აფხაზის“ ქართველთა სამხარეო სახელის ნაცვლად ეთნოდივერსიული სიმრავლის აღსანიშნავად დამკვიდრებამ, აი, რა „არგუმენტი“ გაუჩინა მტერსძ.**

**Âñå ýòî îáúåêòèâíî íå ïîçâîëÿåò ñîçäàòü óíèòàðíîå ãîñóäàðñòâî íà òåððèòîðèè ïîñòñîâåòñêîé Ãðóçèè. Ïðè÷åì íàïðÿæåííîñòü è èíòåíñèâíîñòü ýòèõ ïðîòèâîðå÷èé óñóãóáëÿåòñÿ ïîëèòîíîñòüþ íàñåëåíèÿ ðåãèîíà. Åñëè âû÷åñòü èç òåððèòîðèè ñîâåòñêîé Ãðóçèè çåìëè Þæíîé Îñåòèè, Àáõàçèè è Àäæàðèè, òî îñòàíåòñÿ ïëîùàäü, ñðàâíèìàÿ ñ Ðÿçàíñêîé îáëàñòüþ.**

**Ñëåäóåò îòìåòèòü, ÷òî òàêîå ïîëîæåíèå âåùåé ïîíèìàëè ðîññèéñêèå ïîëèòèêè åùå â 1917 ãîäó. Èäåÿ ñîõðàíåíèÿ êàâêàçñêîãî åäèíñòâà ëåæàëà â îñíîâå âíóòðèïîëèòè÷åñêèõ ïðèíöèïîâ äåïóòàòîâ IV Ãîñóäàðñòâåííîé Äóìû, çíàòíûõ ìåíüøåâèêîâ Í.Ñ.×õåèäçå è È.Ã.Öåðåòåëè. Îáà ðóêîâîäèëè ñ ôåâðàëÿ ïî îêòÿáðü 1917 ãîäà Ïåòðîãðàäñêèì ñîâåòîì, òî åñòü îïðåäåëÿëè ñîñòàâ Âðåìåííîãî ïðàâèòåëüñòâà. Ïîñëå ïîëèòè÷åñêîãî áàíêðîòñòâà ýòè ëèäåðû ìåíüøåâèêîâ áåæàëè íà Êàâêàç, ãäå ïåðâûé ñòàë ïðåäñåäàòåëåì Çàêàâêàçñêîãî ñåéìà, à âòîðîé – ãëàâîé ìåíüøåâèñòñêîãî ïðàâèòåëüñòâà Ãðóçèè. Òî, ÷òî èõ èäåè íå áûëè áåñïî÷âåííû, óêàçûâàåò òîò ôàêò, ÷òî ëåòîì 1917 ãîäà â Òèôëèñå ïðîæèâàëî â äâà ðàçà áîëüøå àðìÿí, ÷åì ãðóçèí. Â ìàðòå 1918 ãîäà ñåéì ïîä ïðåäñåäàòåëüñòâîì ×õåèäçå ïðîâîçãëàñèë Çàêàâêàçñêóþ äåìîêðàòè÷åñêóþ ôåäåðàòèâíóþ ðåñïóáëèêó (ÇÄÔÐ), êîòîðàÿ áûëà ïî ñâîåé ñóòè êîíôåäåðàöèåé, ïîñêîëüêó âõîäèâøèå â åå ðóêîâîäñòâî ëèäåðû ãðóçèíñêèõ ìåíüøåâèêîâ, àðìÿíñêèõ äàøíàêîâ è àçåðáàéäæàíñêèõ ìóñàâàòèñòîâ ïðèäåðæèâàëèñü ïðèíöèïà àâòîíîìèè ñâîèõ íàöèîíàëüíûõ ãîñóäàðñòâ.**

**Òàêîå ïðàêòè÷åñêîå ðåøåíèå êëóáêà çàêàâêàçñêèõ ïðîáëåì áûëî ñëåäñòâèåì ðåàëèçàöèè èäåè Ñîþçà (êîíôåäåðàöèè) îáúåäèíåííûõ êàâêàçñêèõ íàðîäîâ è ãîñóäàðñòâ, êîòîðàÿ âîçíèêëà ó ×õåèäçå, Öåðåòåëè è Æîðäàíèè â ôåâðàëå 1917 ãîäà. È íîâûé ãåîïîëèòè÷åñêèé ïëàí äëÿ Ãðóçèè ìîæåò ñòðîèòüñÿ ñ ó÷åòîì ïðèíöèïîâ, êîòîðûå áûëè â îáùèõ ÷åðòàõ ðàçðàáîòàíû âèäíûìè ãðóçèíñêèìè (è ðîññèéñêèìè) ìåíüøåâèêàìè.**

**Ñ ýòîé òî÷êè çðåíèÿ î÷åâèäíî, ÷òî ëþáûå ïåðåãîâîðû ñ ðåæèìîì â Òáèëèñè áóäóò áåñïîëåçíûìè è ÷ðåâàòû äàëüíåéøåé ýñêàëàöèåé êðîâîïðîëèòèÿ â Çàêàâêàçüå. Ñîîòâåòñòâåííî íåîáõîäèìà ïîëíàÿ äåìèëèòàðèçàöèÿ Ãðóçèè, êîòîðóþ ñëåäîâàëî áû íà÷àòü ñ ïîëíîãî ðàçãðîìà åå âîåííûõ ôîðìèðîâàíèé.**

**Ñëåäóåò îòìåòèòü, ÷òî ìåæäóíàðîäíîå ïîñðåäíè÷åñòâî â ãðóçèíî-îñåòèíñêîì êîíôëèêòå òàêæå ìàëîïðîäóêòèâíî è íå ìîæåò ïðèâåñòè ê óäîâëåòâîðèòåëüíûì ðåçóëüòàòàì. Âìåøàòåëüñòâî â äåëà Ðîññèè, Ôðàíöèè è Àíãëèè áûëî óçàêîíåíî â 1918 ãîäó Âåðõîâíûì ñîâåòîì Àíòàíòû è, êàê èçâåñòíî, çàêîí÷èëîñü íåáëàãîïðèÿòíî äëÿ Çàïàäà.**

**Âîåííîå ïîðàæåíèå Ãðóçèè ñ ïîñëåäóþùèìè åå äåìèëèòàðèçàöèåé è äåìîíòàæîì ëè÷íîãî ðåæèìà Ñààêàøâèëè ìîãóò ñîçäàòü êóäà áîëåå ïðî÷íûå îñíîâàíèÿ äëÿ ìèðà â Çàêàâêàçüå, ÷åì ïîñðåäíè÷åñòâî ÅÑ è ïðåçèäåíòà Ôðàíöèè Ñàðêîçè.**

**После проведения двух вышеупомянутых этапов мирного урегулирования в Грузии следует перейти к созданию здесь новой формы государственного правления – конфедерации с наименованием Объединение Кавказских Государств (ОКГ). ОКГ есть правопреемник Грузии в составе не менее 10 государств на ее месте.**

**ОКГ должно иметь общую внешнюю политику, общие транспортные инфраструктуры, Центральный банк и валюту. Статус конфедерации позволяет также странам-участницам вводить свою собственную национальную валюту. Субъекты конфедерации развивают свою экономику собственными силами. Судебная система в них является автономной. Вооруженные силы, их разведывательные органы и тайные силовые структуры политического сыска распускаются. Для обеспечения правопорядка ОКГ имеет только полицейские силы.**

**Должность президента ОКГ замещается поочередно и сроком на один год из числа глав государств, входящих в ее состав. При этом форма государственного правления в субъектах ОКГ является выбором их народов и может иметь политический спектр – от абсолютной монархии (по примеру Арабских Эмиратов) до анархо-синдикалистского устройства (по примеру кантона Юра в Швейцарии в XIX веке во главе с русским анархистом Бакуниным).**

**Следует особо отметить, что Южная Осетия, Аджария, Абхазия и Джавахети (область компактного проживания более чем 200 тыс. армян) и местности компактного проживания азербайджанцев имеют право самоопределиться относительно членства в ОКГ.**

**И еще один аспект: для осуществления этого плана требуется полная и целенаправленная поддержка со стороны России национальных движений в субъектах Грузии.**

# რუსული საეთნოდივერსიო მანქანა კი სვლას უმატებს!

**ცნობისთვის:** ჩვენდა საუბედუროდ, ამ საქმეში რუსები მარტო არ არიან: 2008 წლის 19 მაისს მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი, რომელიც ქართველი ერის გათითოკაცებას (დეზინტეგრაციასძ სატანური შთაგონებით განაგრძობს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს.

ამ არამკითხემ ამ ბოლო დროს თურქეთის იმპერიაში ლაზებისა და ტაოკლარჯელების ურთიერთწასისიანებითაც დაისაქმა თავი. როგორც ხედავთ, საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა ჯილდოვდება ქართულ სახელმწიფოში.

აი, ასეთი გახლავთ რუსული აგრესიის დაუფარავი მიზანი საქართველოში, რომელმაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა უზრუნველყოს საქართველოს, როგორც გაერთსხეულებული შინაარსის განადგურება, რაც, თავის მხრივ, წინაპირობაა პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის აღორძინების ჩასაწალდად, ერთიც და მეორეც იმპერიული ჩექმისთვის საფრთხეა კავკასიაში.

ვისაც სამეგრელოში რუსული ტანკების ჯირითი და მისი ე.წ. ბლოკსაგუშაგოები რუსთა რიგითი შემოშლიგინება ჰგონია, საფუძვლიანად ცდება, – ეს გახლავთ ხანგრძლივი ველიკოდერჟავული ჩასანგრება ოდიშში, რათა მან ნება-ნება „ილვაწოს“ „მეგრელთა თვითგამორკვევისა“ და „სახელმწიფო“ აღმშენებლობისთვის.

ასეთ დროს რუსული თარეშისთვის, დიახაც რომ, ზურგის ქარი გახლავთ საბედისწერო მანკი, რომლისგან, სამწუხაროდ, ვერა და ვერ დაიხსნა ქართულმა ცნობიერებამ თავი: ერთ შემთხვევაში ქართული საზოგადოების საგრძნობი ნაწილი ვერ იცნობიერებს თავის შინაარსში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მისთვის ეს აბსტრაქტული ცნებაა, რადგან წარმოდგენა არა აქვს ქართული გონითი განფენის სივრცეზე, ანუ ჩვენი სამშობლოს კიდის კიდეზე. მეორე შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მის გონებაში ეფუძნება, ისევ და ისევ, რუსულიდან გადმოასლებულ (გადმოკალკირებულძ და ქართული სულისთვის სრულიად უცხო ცენტრ-ნაცმენურ შინაარსს. ამ სიმრავლისთვის ეს სივრცე მამული კი არა, ციდამტკავლურ მოსაზღვრულობაში ასაალმართებელი „სადიდმპყრობლო“ ჰექტრებია.

ასეთი ხმაბოლდვითი თვითშეგნებისთვის მყარ საფუძველს ის ქმნის, რომ ჩვენ სათანადოდ არ ვიგაკვეთილეთ წმინდა ილია მართლის მოძღვრება. გადაიკითხეთ (ან შეიხსენეთძ მისი „ქვათა ღაღადი“, „ოსმალოს საქართველოს“, რაც მთავარია, 1903 წელს სოხუმის საზოგადოების წინაშე ნადიმზე სადღეგრძელოდ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ეროვნულ ძეგლისდებად უნდა დავიდგინოთ. იგი, როგორც ეროვნული სვლაგეზი, ერთადერთი დაუმარცხებელი საპირწონე გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა(აფხაზეთსაძ და... სამეგრელოში დღეს დისლოცირებული რუსული საოკუპაციო კონტინგენტის წინააღმდეგ: **„...რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთიდან გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის (ე. ი. კოლხეთიდან – ს.ჯ.), საქართველოსთვის მაინც მეთქი!“... „თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება. მთელი ქალაქი თქვენს ხელშია, აქაურობის (იგულისხმება სოხუმი – ს.ჯ.) ბატონ-პატრონნი თქვენა ხართ“... „ამისთვის ქვეყნის გამჩენს თქვენთვის შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა!“... „რომ მოგახსენეთ, საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც მოგბაძონ, მამა-პაპათგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა გავუღვიძოთ, მორეულ ათასგვარ მტერს და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ. მაშ, გაგიმარჯოთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!“...**



მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად 105 წელი გავიდა მას შემდეგ, არათუ რიგითთაგანნი, ზოგიერთ ე.წ. ზეპურ საზოგადოებაშიც ძალიან ზერელედ ისიგრძეგანებენ, უფრო სწორად, ვერ იმშობლიურებენ, ვერ იერთსხეულებენ მეგრულ შემონაკადებას და ამგვარი ლაყბობით ეკეკლუცებიან საკუთარ თვითდამკვიდრებას: **„რუსეთისადმი მთელი საქართველოსა და კაცობრიობის ზიზღი, სიძულვილი, „აღშფოთება“ და „შეშფოთება“ გამოხატეს ჩვენმა სისხლისმიერმა ძმებმა-მეგრელებმა, როცა ზუგდიდში ლათინური ანბანით შესრულებული ერთი ყურისმომჭრელი ლოზუნგი ააფრიალეს – „PUTIN! SKAN DIDA PXODI“ (დიტო ჩუბინიძე, „ქრონიკა“, 1-7 სექტემბერი,2008წ.)**

მართალია, ამ წერილში ავტორი ვითომ ეკამათება რუს ოკუპანტებს, მეგრელები ქართველები არიანო, ასეთი „გულაჩუყებით“ წინდაუხედავად რომ წამოროშა („ჩვენი მეგრელი ძმები“ძ, დაადასტურა ზემოთხსენებული რუსული საეთნოდივერსიო ინსტრუქტაჟის ერთ-ერთი დებულება, რომ ქართველი ერი ერთსხეულებრივი შინაარსი კი არა, სხვადასხვა მოძმე ხალხების მექანიკური კრებითობაა, მერე რა, რომ დ.ჩუბინიძის მიხედვით „მეგრელი ძმა ყოფილა“, ჯერ ერთი, ძმა არ ნიშნავს იგივეს, მეორეც, განა სხვას ამბობს რამეს რუსული ინსტრუქტაჟი?! და კიდევ ერთი: როგორც აღშფოთებულმა ჟურნალისტმა მზია ომანაძემ განაცხადა, ავტობუსში რომელიღაც ქალბატონს, გაწიწმატებულს დაუჩივლია, **„შეგვჭამეს ამ მეგრელმა დევნილებმა, შეხედეთ, გორელები რა კარგად იქცევიანო!“** მე მესმის ქალაბატონ მზიას გულისწყრომის, ისიც გასაგებია, რომ ეს ერთი შეხედვით ყოფითი ყოველდღიურობის თითქოს უგუნური გამოვლენაა, თუმცა მე აქ სახიფათოდ სხვა რამ მენიშნა, გორელი და მეგრელი დევნილების ურთიერთდაპირისპირების მცდელობა, რასაც დ. ჩუბინიძის მსჯელობის გასწვრივ ასე თადარიგიანად იმარქაფებს რუსული საეთნოდივერსიო სამსახური.

ამჯერად კიდევ ერთხელ უნდა გავიმშობლიურო დიდი ილიას სწავლება: **„დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქარში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანაში იქნებ მადლობელიც გავუხდეთ“**....(„ივერია“, 1903 წ. 28 ივნისიძ.

დამშვიდდით ბატონებო, შემინდოს წმინდა ილია მართლის სახებამაც, – რუსი მუჟიკის ქვეგამხედვარე შლიგინის გადასარეკად ყველანაირი წყობილსიტყვაობა ყავლგასული გახდა. სწორედ ამიტომ მისთვის ზრდილობიანი შეძახილი ამაოა, რამეთუ, ასეთ დროს ყურდახშობილია სმენა ამ სისხლაღრეული მოდგმის. მას ერთი „მუჟიკური“ შეძახილი ემშობლიურება მხოლოდ და ოთხივე კუთხე მოლიავებული მარტო ამისთვისა აქვს, ამიტომ, სწორედ სულზე მისწრებაა მათთვის მეგრელთა ერთხმად ამრისხანება: **„PUTIN! SKAN DIDA PXODI!“**

**სერგი საჯაია,**
**მწერალი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 169.**

ფეხბურთი

# კიდევ კარგი...

**მოგეხსენებათ, ამას წინათ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ჰექტორ რაულ კუპერი დაინიშნა. მართალია, ჯერჯერობით იგი ბიჭებს ციდან ვერ აწყვეტინებს ვარსკვლავებს, მაგრამ იმასთან შედარებით, როგორც ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ თავკაცმა, პეტარ სეგრტმა თავის შეგირდებს შესარჩევი ციკლი ჩაამთავრებინა, არგენტინელის ნამოღვაწარზე მთლად აუგი არ უნდა წამოსცეს კაცს.**



იცით, ასეთი შესავალი რატომ შემოგთავაზეთ? შეგახსენებთ, რომ ქვეყნის უმთავრესი გუნდის დამრიგებლის პოსტზე გაგერმანელებულ, ფესვებით ხორვატ სპეციალისტს თვით სფფ შეფი ახალკაცი ლობირებდა. კიდევ კარგი, რომ მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თუ რატომ, ახლავე აგიხსნით.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა პირტიტველმა თანამემამულეებმა კარგა გვარიანად შეგვარცხვინეს, როცა მინსკში პრინციპული ბრძოლა კაპიტულანტურად (სხვაგვარად ძნელია, შეაფასო მათი უჯიგრო ფაფხური) დათმეს „ოკუპანტ“ რუს თანატოლებთან — 0:4.

გვეგონა, სეგრტი და მისი შტაბი თავმოყვარეობაშელახულ შეგირდებს ძარღვიანად შეაფუცხუნებდნენ და სეზონის დასკვნით შეხვედრაში პოლონელებთან ხმაურიანად გააჯახუნებდნენ კარს. თქვენც არ მომიკვდეთ — ამჯერად მატჩი კიდევ უფრო უარესი შედეგით დასრულდა — 0:5, რითაც ჯგუფში ბოლო ადგილი დავიკავეთ.

**გაეცანით უკანასკნელი ტურის შედეგებს:**

**I ჯგუფი.** ხორვატეთი — იტალია 1:1, საბერძნეთი — ფარერები 1:0, ალბანეთი — აზერბაიჯანი 0:0.

იტალია — 24, ხორვატეთი — 22, საბერძნეთი — 18, ალბანეთი — 12, აზერბაიჯანი — 4, ფარერები — 2 ქულა.

**II ჯგუფი.** ჩეხეთი — უკრაინა 0:1, თურქეთი — სომხეთი 4:0.

თურქეთი — 19, უკრაინა — 15, ჩეხეთი — 14, სომხეთი — 10, ლიხტენშტეინი — 0 ქულა.

**III ჯგუფი.** პორტუგალია — ირლანდია 2:2, ჩერნოგორია — ბულგარეთი 0:0.

ინგლისი — 22, პორტუგალია — 14, ჩერნოგორია — 8, ბულგარეთი — 7, ირლანდია — 5 ქულა.

**IV ჯგუფი.** საქართველო — პოლონეთი 0:5, ესპანეთი — რუსეთი 2:0.

ესპანეთი — 24, რუსეთი — 15, პოლონეთი — 9, ყაზახეთი, საქართველო — 6-6 ქულა.

**V ჯგუფი.** შვეიცარია — ჰოლანდია 1:0, ნორვეგია — მაკედონია 0:0.

შვეიცარია, ჰოლანდია — 16-16, ნორვეგია — 12, მაკედონია — ესტონეთი — 3 ქ ულა.

**VI ჯგუფი.** დანია — შოტლანდია — 1:0, სლოვენია — ფინეთი 0:0.

ფინეთი — 19, შოტლანდია, დანია — 16-16, სლოვენია — 5, ლიტვა — 1 ქულა.

**VII ჯგუფი.** ბელგია — კვიპროსი 3:2, ისლანდია — სლოვაკეთი 1:1.

ავსტრია — 20, ბელგია — 11, სლოვაკეთი — 10, ისლანდია — 7, კვიპროსი — 6 ქულა.

**VIII ჯგუფი.** სერბეთი — უნგრეთი 8:0, ლატვია — ბელორუსია 0:0.

სერბეთი, ბელორუსია — 17-17, უნგრეთი — 12, ლატვია — 11, სანმარინო — 0 ქულა.

**IX ჯგუფი.** გერმანია — ისრაელი 0:0, მოლდოვა — ლუქსემბურგი 2:0

გერმანია, ისრაელი — 17-17, ჩრდილოეთ ირლანდია, მოლდოვა — 12-12, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

**X ჯგუფი.** ბოსნია — საფრანგეთი 0:1, რუმინეთი — უელსი 0:3.

უელსი — 18, საფრანგეთი — 17, რუმინეთი — 15, ბოსნია — 4, მალტა — 3 ქულა.

ამრიგად, შემდეგ ეტაპზე ითამაშებენ ჯგუფებში გამარჯვებულნი და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი — ხორვატეთი, ბელორუსია, ისრაელი და საფრანგეთი.

ისინი პლეი-ოფების შედეგად გამოავლენენ შესანიშნავ შვიდეულს, რომელსაც ფინალურ რაუნდში დაემატება მომავალი ფორუმის მასპინძელი — შვედეთი.

კარატე

# მწვრთნელი რა საჭიროა?

**ეს ბიჭები საქართველოს ნაკრების წევრები არიან, რომლებმაც თეირანში მსოფლიოს კარატეს ფედერაციის (WKF) ეგიდით გამართულ ირანის პრეზიდენტის თასის IX გათამაშებაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**




— ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული რუსული აგრესიის გამო მეზობელ ქვეყანაში განახევრებული შემადგენლობით გავემგზავრეთ, — მეუბნება „ჯვაროსანთა“ ვეტერანი **ჭაბუკა მახარაძე, —** გუნდის ძირითად ბირთვს კლუბ „კლიგატორის“ აღსაზრდელები შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორებმა ყველა საკითხი დადებითად გადაგვიჭრეს, მათ შორის — დაფინანსების.

რაც შეეხება უშუალოდ ასპარეზობას, სარბიელზე 22 სახელმწიფოს წარმომადგენლები გამოვიდნენ, მათ შორის ისეთი გრანდები, როგორიცაა იაპონია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, თურქეთი და ყაზახეთი.

განსაკუთრებით გვასახელა 16 წლის დავით პატარიძემ, რომელმაც ერთ-ერთი ბრძოლა ევროპის მოქმედ თურქ ჩემპიონს მოუგო და III პრიზიორი გახდა პირად კუმიტეში.

ანალოგიურ წარმატებას მივაღწიეთ გუნდურ კუმიტეში, თანაც სასტარტო შეხვედრა სენსაციურად მოვუგეთ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს — საფრანგეთის გუნდს — 3:2. ამ გამარჯვებით ფრთაშესხმულებმა უშანსოდ დავამარცხეთ პაკისტანელებიც — 3,0 თუმცა ნახევარფინალში დასანანად დავმარცხდით თურქებთან — 2:3. სხვათა შორის, მესამე ადგილისათვის გამართული პაექრობაში ასეთივე ანგარიშით კუვეიტელებს ვძლიეთ და საპატიო კვარცხლბეკზე ირანელებთან და ოსმალოებთან ერთად ავედით ასეთი შემადგენლობით: გოგიტა არქანია, კახა ეგნატაშვილი, დავით პატარიძე, გიორგი კარანაია და ჭაბუკა მახარაძე.

მიაქციეთ ალბათ ყურადღება — არსად გვიხსენებია მწვრთნელი. მიზეზი მარტივია — ჩვენი გუნდი უდამრიგებლოდ გამოდიოდა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის სპარსულ მონაგარს.

დავძენთ, რომ ამ ფაქტით გაოცებას არავინ მალავდა. არანაკლებ დასაფასებელია ის თანადგომა, რომელსაც მასპინძლები და ტურნირის მონაწილენი რუსი ოკუპანტებით გატანჯული საქართველოს მიმართ გამოხატავდნენ.

**გია პლატონიშვილი**

დოს მარილი აკლიაო!

# რა დაეხმარებათ გამარჯვებაში?

**თუმცა პეკინში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან კარგა ხანი გავიდა, ვიღაც-ვიღაცეებს ისევ ძალზე აწვალებს ბევრი სახელოვანი სპორტსმენის გამარჯვება — თუნდაც — იამაიკელი სპრინტერის უსეინ ბოლტის სასწაულებრივი წარმატება 100 მეტრზე სირბილში — 9,69 წამი (!) „ურწმუნო თომები“ ეძებენ ასეთ უნიკალური მაჩვენებლების მიზეზებს. მას ხან რასობრივ „საფანელს“ უდებენ, ხან — გენებს, ხანაც — ფულს, თუმცა არც დოპინგს ივიწყებენ.**

ამ თემაზე თავის ყურადღება გაამახვილა გაზეთმა **„არგუმენტი ი ფაქტი“.** გთავაზობთ ამონარიდებს ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიიდან.

„მას სადღაც აღმოუჩენელი დოპინგი ან კიდევ სხვა რაღაცა აქვს“, — გულიანად წამოიძახა გულშემატკივარმა. ასეთ რეაქციას იწვევს ჩინელების მიერ დაშტამპული რეკორდები. გაზეთს მიაჩნია, რომ გავა დრო და გააუქმებენ ოლიმპიადის ზოგიერთ მიღწევას. ვიღაც-ვიღაცას დაგვიანებით ამხელენ აკრძალული პრეპარატების მიღებაში, ზოგი კი პატიოსნად თავად აღიარებს, რომ „თავს იქცევდა“ სტიმულიატორებით. ვინაიდან გაზეთს მიაჩნია, რომ ყველა სპორტული ფენომენის საიდუმლო მხოლოდ დოპინგში არ იყო, აყენებს სიდიდი წარმატებების მიზეზების რამდენიმე ვერსიას აი, ისინიც:

**პირველი ვერსია — მთელი საქმე რასებშია.** ზოგიერთი სწავლული აყენებს ეროვნული ანატომიის განსაკუთრებულობის ჰიპოთეზას. მაგალითად, კენიელების წვრილი წვივები (საშუალოდ 400 გრამით უფრო მსუბუქია იმავე სიმაღლის ევროპელისაზეძ საშუალებას აძლევს მათ, ყოველ ნაბიჯზე დაზოგონ ენერგიის 8 პროცენტი. ასევე, სპეციალისტთა აზრით, მუქკანიან ხალხს სისხლში ბუნებრივადაც აქვს უფრო მეტი ნაწილაკები, ორგანზმს ჟანგბადს რომ აწვდიან. აი, რატომ იმარჯვებენ ისინი სხვებზე ხშირად სარბენ დისციპლინებში.




**მეორე ვერსია — მთავარი ფულია.** ჩინელი მოცურავე ქალი, რომელიც არასდროს არავის უნახავს, უცებ ოლიმპიური ჩემპიონი ხდება. ამის ახსნას მალე მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ ჩინელები მთელს პლანეტაზე ყიდულობენ მსოფლიო რეკორდების მეთოდიკებს. ძალზე გაჭირვებულმა ავსტრალიელმა მწვრთნელმა კენ ვუდმა ოლიმპიადისთვის მომზადების გეგმა მიყიდა ჩინელი მოცურავის დამრიგებელ ლიუ ცზიგეს. მის აღსაზრდელს კი ახლა ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში. ეჭვობენ, რომ მათ ასეთი რამ უხვად შეიძინეს.

**მესამე ვერსია — მთავარი გენებია.** ახლა მიდის აქტიური მუშაობა ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის გადასალახავად. „ჩვენ გენურ თერაპიაში რევოლუციის კარიბჭესთან ვართ, გამორიცხული არაა, რომ ის არალეგალურად უკვე შეიჭრა სპორტში, — განუცხადებია გაზეთისთვის პროფესორ ნიკოლოზ დურმანოვს, მრავალი წელი დოპინგს რომ ებრძვის, — აღმოჩენის არსი ისაა, რომ ადამიანური გენები, შეიძლება, იმართებოდეს — გაძლიერდეს ორგანიზმის ზოგი თვისება, სხვები კი შესუსტდეს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ტვინის უდიდესი შესაძლებლობანიც. როდესაც მოტივაცია და წარმატებისკენ დამუხტვა საკუთარ თავს დაგაძლევინებს. მიმაჩნია, რომ ბოლტი და ჩინელები ამის ნათელი მაგალითია. ხოლო ამერიკელი მოცურავის ფელპსის შემთხვევა საერთოდ უნიკალურია, მასზე ხომ მთელი ინსტიტუტი მუშაობს?“

თქვენც ასე ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველებო?

ინტერნეტიდან

# ფეხბურთი გაშიშვლებით

**ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ამ დღეებში ბულგარელი დიმიტარ ბერბატოვი ინგლისური „ტოტენჰემიდან“ 32 მილიონ გირვანქად „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა, მაგრამ მათ ალბათ არაფერი იცოდნენ ერთი შეხედვით მრისხანე და ავი დიმიტარის სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ.**

ის კი ბულგარელმა მოდელმა სილვია სტოიკოვამ ჟურნალისტებს გაუმხილა: კერძოდ, მოუთხრო იმ ფოტოსესიის შესახებ, რომლის დროსაც ახალგაზრდები თამაშობდნენ მაგიდის ფეხბურთს გაშიშვლებაზე. „ეს გასაგები უნდა იყოს, — ღიმილით განაცხადა ლამაზმანმა, — ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, ნახევრად შიშვლები და მხიარულები. თანაც ამ დროს ორივე არავის არ ვხედებოდით. მან დამამარცხა ანგარიშით 10:0. ისე რომ, გაშიშვლება მე მომიწია“.

სტოიკოვასა და ბერბატოვის რომანი რამდენიმე თვეს გაგრძელდა, ხოლო მხიარულების რამდენიმე ულუფის შემდეგ ისინი მეგობრებად დარჩნენ.



ბერბატოვი ცნობილია თავისი მოულშული გამომეტყველებით და ძალზე სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, სილვიას თქმით, ეს ასე არაა, ფეხბურთელი ძალზე გულლია ადამიანია და ადვილად ამყარებს ურთიერთობას სხვებთან.

**დღევანდელობა**

# „ციცას ეფერება ლუი XIV“...

**გახსოვთ, ალბათ, ეს ტაეპი მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსიდან: დღევანდელობასთან მიმართებაში პრეზიდენტი სარკოზი და ზოგადად – დასავლეთი. ჭკუათმყოფელ კაცს საყვედური როგორ დასცდება? და მეც მადლობელი ვარ დასავლეთისა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო არსებულ კრიზისულ ვითარებაში, რომელშიც ჩვენივე უტვინობის გამო აღმოვჩნდით. ცეცხლის, საომარი მოქმედებების შეწყვეტა. აი, მაქსიმუმი იმისა, რაც შესაძლებელი იყო და რასაც მიაღწია ევროკავშირმა. ვისაც მეტის მოლოდინი ჰქონდა, ეს მათი ურაპატრიოტული პრობლემაა.**

2008 წლის 8 სექტემბერს ოფიციალურად დაფიქსირდა საქართველოსთვის უმძიმესი შედეგები: აფხაზეთისა და ცხინვალის კაი ხნით, იქნებ სამუდამოდ დაკარგვა. იმასთან ერთად, რასაც „არავინ გვედავებოდა“ – ახალგორის რაიონი, კოდორის ხეობა.. ეს არის „კოკოითი ფანდარასტ“ და „ზემო აფხაზეთის“ მრავალმილიონიანი პროექტების სამწუხარო შედეგები. ახლა რაღა დაგვრჩენია? ხშირად ვატრიალოთ პროპაგანდისტული კლიპები – „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ და ომის შემდეგ ოპერატიულად გაკეთებული, აშკარად რევანშისტული შინაარსისა (თუმცა უაზროძ, სადაც ერთი ქართველი ხმლით იგერიებს 5 მომხვდურს.

გამეცინებოდა, ჩემს ქვეყანას ცრემლ და სისხლდადენილს რომ არ ვხედავდე. ამ უკანასკნელი კლიპის ხილვისას უნებურად მახსენდება აგული და პიპინია ერისთავი „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“: „შენ ისევ პორტარტურში გგონია თავი, ახლა სხვა ომია“. და იქვე „ის პიპინია არ ხარ, პორტარტურიდან შენ ცხენს რომ გამოასწარი“? ანუ, ის მთავარსარდალ-გენერლები არ არიან, საკუთარ დაჯავშნულ ჯიპებს რომ გამოასწრეს?

თუმცა მერე რა? მთავარია ჩვენ გავიმარჯვეთ (?ძ და უმთავრესი – მიშა მაგარია! მი-შა! მი-შა! მი-შა!

**დავით მხეიძე**



**მინიატიურა**

# ოს-ქართველა

**გაუგონარი ამბავი ხდება დღეს საქართველოში: ჩვენს კავკასიელ სისხლით ნათესავებს, აფხაზებსა და ოსებს ბარბაროსები შემოჰყავთ თავიანთივე მოძმეთა გასანადგურებლად. ვაი, ჩვენს თავს უბედურს, კავკასიელებო!**

**ავტორი**

იმ დღეს უბნელებმა სოსლან ჩიბიროვი ჩაიგდეს ხელში. მას დედა ქართველი ჰყავდა და ამის გამო „ოს-ქართველას“ ეძახდნენ. ცხარე კამათი გაიმართა უბნელთა შორის, ლამის მუშტებზე მიდგა საქმე.

– შენ, კაცო, – ყვიროდა წელზევით ტიტველი ბიჭო – სოსლან! ნახევრად ხომ ხარ ქართველი?!

– ვარ, მერე!...

– მერედა, რა გჭირთ აქაურ ოს-ქართველებს... ოსებსაც... ააა!

ამ დროს ღია აივნიდან, დედაბერმა გამოიხედა და ბიჭებს დაუყვავა:

– დაწყნარდით, შვილებო, დამშვიდდით...

დედაბრის დარიგება ყურად არავინ იღო, წელზევით შიშველი სახეზე წამოჭარხლებულიყო, ყვიროდა და ყვიროდა:

– ბიჭო, სოსლან! ბიჭო სოსლან, რა გახდა ეს კოკოითი! გააგდეთ იქედან! ეგ თქვენი მტერია!

– რა ვუყოთ, დებილია და...

– ბიჭო, სოსლან! დამიგდე ყური. ცხინვალში ოცდაათი ათასამდე ოსი ცხოვრობს. დანარჩენ საქართველოში – ასი ათასამდეა. მიადექით, ბიჭო ცხინვალს, მოგროვდით და მიადექით, მიტინგები მოაწყვეთ, ბიჭო, აქაურმა ოსებმა!

შავგვრემანმა კაცმა ბოცით ღვინო და ხაშლამა ჩამოიტანა სახლიდან. შეარიგა სოსლანი და წელზევით შიშველი.

ქეიფი რომ დამთავრდა, ადგა სოსლანი და დაიბარა:

– მივდივარ მე ახლა კასპში, ქარელში... მერე ბორჯომსა და ბაკურიანში. ავშლი მე ჩემს პატიოსან ოსებს...

სოსლანი წავიდა.

**ანზორ გვარამია**


## MMCI - მარკეტინგული და მედია კომუნიკაციების ინსტიტუტი

ერთადერთი ლიცენზირებული ინსტიტუტი საქართველოში საკუთარი სატელევიზიო სტუდიითა და დედაქალაქის ფარგლებში მაუწყებელი ტელევიზიით – MMCI TV

*აცხადებს მიღებას*

*ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში*

შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე

**1. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ჟურნალისტიკა; საზოგადოებასთან ურთიერთობები (PR); საერთაშორისო ურთიერთობები;**

**2. ხელოვნების ფაკულტეტი - აუდიო-ვიზუალური და მედიახელოვნება (რეჟისურა – კინო, თეატრი, ტელევიზია; ოპერატორისა და ფოტო ხელოვნება);**

**3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ქართულ-ევროპული ფილოლოგია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული ენები);**

**4. იურიდიული ფაკულტეტი – სამართალმცოდნეობა;**

**5. ბიზნესის მართვის ფაკულტეტი – საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ტურიზმი; მარკეტინგი მენეჯმენტი და ადმინისტრირება;**

**6. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი – ბიოლოგია; ეკოლოგია;**

**7. არტ-დიზაინ აკადემია – დიზაინი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ტიხრული მინანქარი, თექა, აბრეშუმისა და ქაღალდის თექა, ბატიკა, გობელენი და სხვა); არქიტექტურა; ფოტოგრაფია; კომპიუტერული ხელოვნება.**

**MMCI – თავის სტუდენტებს უზრუნველყოფს:**

- საკუთარი სატელევიზიო სტუდიით (ციფრული აუდიო-ვიდეო გადამღები, ჩამწერი და სამონტაჟო პროფესიული აპარატურით);
- დედაქალაქის ფარგლებში მაუწყებელი ტელევიზიით MMCI TV;
- შესაბამისი სასწავლო-შემოქმედებითი ბაზებით **(ფაკულტეტების მიხედვით)** და რეალურ საქმიანობასთან მაქსიმალურად მიახლოებული;

სასწავლო პრაქტიკით, პროფესიული სტაჟირებით, ხშირ შემთხვევაში, პირველივე კურსიდან;

- მეორე ძირითადი პროფესიით (მაინორის სისტემით) და შესაბამისი დიპლომით;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, სამეცნიერო-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობით.

ინსტიტუტში მოქმედებს რეიტინგული სისტემა, წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია.

**ინსტიტუტი დაეხმარება სტუდენტებს სტუდენტური ან სამომხმარებლო სესხის მიღებაში**

განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე 10-დან 17-საათამდე (ყოველდღე, კვირადღის გარდა).

**მისამართი: თბილისი, ა.წერეთლის გამზ. №1 (შესასვლელი ფიფიების ქუჩიდან) უახლოესი მეტრო – „წერეთლის გამზირი“**

**ტელეფონი: 34-73-66; 45-16-50; 899-226-262; E-mail – info@mmci.edu.ge; info@mtvi.ge Web-Site – www.mmci.edu.ge**


**მეუღლე გია, შვილები თამთა, თეონა ბენაშვილები, და ნანა გზობავა, სიძეები ნიკა სულაძე, სანდრო კვარაცხელია, გენო თავართქილაძე, თემურ ბარაბაძე; შვილიშვილები დათუნა, გიორგი, ვაკო, დედამთილი იზა ბეჟაშვილი, მამამთილი გიორგი ბენაშვილი, მული თამრიკო ბენაშვილი, დისშვილი ლელა თავართქილაძე, ბიძა გურამ გზობავა, მძახლები თამარ, დავით სულაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**ლია შალვას ასული გზობავა**

**პანაშვიდი 11, 12 IX, 17 სთ. კუტუზოვის I კორპ. I სად. VII სართული. გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან 13 IX, 15 სთ.**

**საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ადმინისტრაცია უთანაგრძნობს თემურ გოდერძიშვილს მამის**

**გუგული გოდერძიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: შვებულებას ვერ მაძლევენ სამსახურებრივი აუცილებლობის გამო. შარშანაც ასე მომექცნენ, რასაც ძალიან განვიცდი. შეიძლება შვებულების ყოველწლიურად გადატანა მომდევნო წლისათვის?**

**ლამარა თუთბერიძე**

**პასუხი:** არ შეიძლება მოქმედი კანონის თანახმად, აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში.

* * *

**კითხვა: თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ დასაქმებულმა შრომის ანაზღაურება უნდა მიიღოს სამუშაო ადგილზე. თვეში ერთხელ. ჩვენ კი გვაიძულებენ, ხელფასი ბანკში მივიღოთ. როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი მოქმედი შრომის კოდექსით?**

**ნონა ომიაძე**

**პასუხი:** შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**განცხადება**

**2008 წლის 30 სექტემბერს დღის 10 საათზე დანიშნულია სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**მისამართი: გორგასლის 40.**

**დღის წესრიგი:**

1. გადაწყვეტილების მიღება სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს. ლიკვიდაციის შესახებ.

სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს-ის აქციონერებს გთხოვთ, კრებაზე დასასწრებად წარმოადგინოთ „ამონაწერი რეესტრიდან“, რისთვისაც მიმართეთ დამოუკიდებელ რეგისტრატორს შპს „ეროვნული რეესტრი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, მე-6 სართული.

**დირექცია**

**შპს „წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების“ სახელობის საშ. სკოლა, რომელიც მდებარეობს ჩიქოვანის 26-ში, აცხადებს ლიკვიდაციას. საინდენტ. კოდი 205095378, ანგ. საქ. ბანკში. სკ.ტ. 363757.**

**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

მოულოდნელი რაკურსით

# ლიხნის ეკლესიას დედოზარი უნდა დაუბრუნდეს!



**აფხაზეთში, გუდაუთის რ-ნში მდებარე ცნობილი სოფელი ლიხნი ის ადგილია, სადაც წყდება აფხაზეთის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. სოფელში არის XIV ს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, საიდანაც 1988 წელს მოიპარეს ზარი და დღემდე არ არის დაბრუნებული.**

– ვიდრე ლიხნის ეკლესიას სამრეკლოდან მოპარული ზარი თავის ადგილ-სამყოფელს არ დაუბრუნდება, ვერც ერთი ქართულ-აფხაზური შეხვედრა და მოლაპარაკება შედეგს ვერ მოიტანს" – განმიცხადა ჯერ კიდევ 14 წლის წინათ სოხუმელმა ნათელმხილველმა ნათელა პერტენავამ. მას ხილვები 1973 წლიდან დაეწყო, მას შემდეგ, რაც „კუდიანი ვარსკვლავი", ე.წ. კომეტა „გალეა" იხილა.

რაც შეეხება ლიხნის ზართან დაკავშირებულ ისტორიას, ეს ასე დაიწყო. 1988 წელს დაუდგენელმა პირებმა ეკლესიიდან მოიპარეს 96 კგ. წონისა და 58 სმ. სიმაღლის ზარი, შემდეგ ეს ზარი ხელში ჩაუვარდა ლენინგრადის მოტომსროლელთა პოლკის, ხოლო შემდგომ გალის რაიონის სოფელ რეჩხის გასამხედროებული დაცვის უფროსს, ვინმე კოვალენკოს. 1991 წელს კოვალენკომ ზარი გადმოიტანა ენგურს გაღმა და 7000 რუბლად მიჰყიდა წალენჯიხის რაიონის სოფელ წყოუშის მკვიდრს ვასო გოგოხიას. მისი თქმით, გოგოხიები ძველ ნატაძრალზე ცხოვრობენ, ამიტომ სურდათ აეშენებინათ ახალი ეკლესია და ზარიც იქ ჩამოეკიდათ, მაგრამ გოგოხიებმა სურვილის აღსრულება ვერ შეძლეს – ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალათ ხელი, ამიტომაც გადაწყვიტეს ზარის გაყიდვა და ნათელა პერტენავას მიმართა დახმარებისთვის, რომელიც იმ დროს მეზობელ სოფელ ლიაში ცხოვრობდა.

იმ დღიდან მოყოლებული, პერტენავა ითხოვს, რომ ზარი თავის ძველ ადგილსამყოფელს დაუბრუნდეს.

ნათელა პერტენავა ღვთის ნებად მიიჩნევს იმას, რომ ვასო გოგოხიამ სწორედ მას მიმართა დახმარებისათვის. „ვარდების რევოლუციამდე" ზარი ინახებოდა წალენჯიხის რ-ნის პროკურატურაში. ნათელა პერტენავას დიდი ძალისხმევით, 2004 წლის აგვისტოში ზარი გადმოიტანეს თბილისში, საპატრიარქოში და ამჟამადაც იქ ინახება.

მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, ნათელმხილველს ღრმად სჯერა, რომ 2009 წელს ზარი ლიხნის ეკლესიას დაუბრუნდება და მოვლენებიც საქართველოსთვის სასიკეთოდ განვითარდება.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

წკეპლიკა

# რა უთქვამთ...

**უცნაურსა და გასაკვირს ჩვენს მწარე და ტრაგიკულ რეალობაში რა გამოლევს – ჩვენ ხომ იმ სასწაულების ქვეყანა ვართ, სადაც ალისა დიდი ხანია, რაც უნდა მოგვეწვია... ამჯერად ორ კონკრეტულ „გასაკვირზე" მინდა შეჩერება, რომლებიც ერთ „ცნობად" გაზეთში შემხვდა „ცნობადივე" პიროვნებათა ნათქვამის სახით.**

„მე პირადად პრეზიდენტ სააკაშვილთან პრეტენზია არა მაქვს, რადგან ვიცით, რომ ამ რეზიდენციით (**კრწანისისა იგულისხმება – ლ.გ.**) სარგებლობის უფლება მომცა" – უზრძანებია ედუარდ შევარდნაძეს.

ღმერთო ჩემო, პრეზიდენტთან პრეტენზიები იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ვის რა აჩუქა, ვის რა მისცა? თუ ობიექტური მდგომარეობიდან, არსებული სინამდვილიდან, დაშვებული შეცდომებიდან უნდა მოდიოდეს? ეკადრება ასეთი განცხადება ესოდეს გამოცდილ და წინდახედულ პოლიტიკოსს? როგორ მინდა, რომ ვცდებოდე, მაგრამ როგორც ჩანს, „პრეზიდენცია", რეზიდენცია და „პრეტენზიაციაც" ყოფილა ერთმანეთთან შებმული...

„გამართლებული იქნება, რომ იგი (**პრეზიდენტი სააკაშვილია ნაგულისხმევი – ლ.გ.**) რუსეთს ენის მოჩლექით ესაუბროს?" – ეკითხება პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი კორესპონდენტს.

ღმერთო დიდებულო, სამშობლოს როცა დასჭირდა, შალვა, ელიზბარ ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი მტერს „ენის მოჩლექით" კი არა, საკუთარი ფეხით ეახლნენ სიცოცხლის გადადებით. ქვეყნის, ხალხის გადასარჩენად მეფე დემეტრემ მტერს ენა მოუჩლიქა კი არა, თავი შეუშვირა მოსაკვეთად და „თავდადებულის" უკვდავებაც დაიმკვიდრა, მაგრამ ვაი, რომ თავდადებულსა და თავდაავადებულს შორის დიდი განსხვავებაა, „შუა უძევს დიდი მძღვარი..."

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

# ზამთარში ელექტროენერგია უწყვეტად გვექნება

**საქართველოს რეგიონები ელექტროენერგიით უწყვეტად მომარაგდება. ამის შესახებ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას" შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა ლიბორ ოლეჰლამ განაცხადა.**

მისი თქმით, კომპანია აქტიურად ემზადება ზამთრის სეზონისთვის. "ენერგო-პრო ჯორჯია" მთელი წლის განმავლობაში ატარებდა სარემონტო სამუშაოებს მის საკუთრებაში არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზე, სამუშაოები ახლაც გრძელდება.

– ამუშავდა წლების განმავლობაში გაჩერებული აგრეგატები, მხოლოდ ჰესების კაპიტალურად რეაბილიტაციისთვის უკვე განხორციელდა 7 მლნ ევროს ინვესტიცია. შესაბამისად, მაქსიმალურად გამოყენებული იქნება ადგილობრივი გენერაცია, – აღნიშნა ოლეჰლამ.

ჩატარებული სამუშაოებით გაიზარდა ენერგომომარაგების საიმედოობა და საკმაოდ შემცირდა ავარიების ალბათობა. „ენერგო-პრო ჯორჯიამ" უკვე დაასრულა ათეულობით ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებების ინდივიდუალურად გამრიცხველიანება.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვირფასო მკითხველო!**

**ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.**

**იმეილი: sakresp@ayety.ge**
**ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

– თქვენ ისეთი მშვენიერი ხართ! – ეუბნება საქმრო ქალს. – სად არის ის პატარა ნაკლოვანება, რომელზეც საქორწინო განცხადებაში წერდით?

– ის ახლა სკოლაშია.

* * *

– ჩვენთან შესვლა ფასიანია.

– შიგნით რაიმე უფასო არის?

– კი, გასასვლელი.



* * *

ფიქრი მავნე არ არის, მაგრამ ძნელია.

იმის ლაპარაკი, რასაც ფიქრობ, ძნელი არ არის, მაგრამ მტკივნეულია.

იმაზე ფიქრი, რაც თქვი, მტკივნეული არ არის, მაგრამ დაგვიანებულია.

* * *

ნუ იჩქარებ სიკეთის ქმნას. იგი აუჩქარებლად უნდა აკეთო, რათა შენიშნონ და დააფასონ.

* * *

ჩვენთან სიწყნარეა – არც ტრამვაი დახრიგინებს და არც მეტრო. ერთი კია, გვერდით აეროდრომია და თვითმფრინავები დაფრინავენ.

* * *

კარგია ის ჩეკისტი, რომელსაც მარტო თავი კი არა აქვს ცივი, არამედ მთელი ტანი.

* * *

რა მსგავსებაა თოვლსა და მდელოს შორის? ორივეზე ერთნაირი წარმატებით დაშლიგინებს ტანკი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.